# სახალხო გაზეთი

№ 928 ოთხშაბათი, 26 ივნისი 1913 წ. № 928

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდ პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათ შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში— მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა



**სახალხო გაზეთი**

**ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით**

პირველი მკათათვიდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს **4 მ. 50 კ.**

**თვეში ღირს 75 კაპ.**

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

**მისამართი:** Тифлисъ, „Сахалхо газети“ Почт. ящ. 190.

ქვრივი ეკატერინე არუთინოვისა, შვილი გიორგი და რძალი ვარა, ძმა იგორი და და ნატალია ფარ—გოვისა, ძმის შვილები სანდრო, ვასო, სტეპკო და გიგოლა არუთინოვები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებსა და ნაცნობთ, რომ 24 ივნისს, შუადღის 12 საათზე, გოლოვინის პროსპექტზე მომხდარ უბედურების დროს ტრაგიკულად დაიღუპა

## არტემ სტეფანეს ძე არუთინოვი

პანაშვიდი 26 ივნისს, საღამოს 7 საათზე, გამოსვენება 27 ივნისს დილის 10 საათზე საკუთარი სახლი, ფომინის ქუჩაზე № 40; ცხედარს წასვენებენ ზირკინაანთ ეკლესიაში; დაკრძალვა მოხდება ვერის სომეხთა სასაფლაოზე. 381.



პირველ-ხარისხოვანი

## დ ი დ ი ც ი რ კ ი

**ძმ. ესიკოვსკებისა**

მიხეილის პროსპექტ, მუშტაიდის შესავალთ ნ. ნ. კუნდუხოვის ადგილზე, საკუთარი საზაფხულო გრილი სადგომი, ტრამვაი იქვე ჩერდება და შინ დაბრუნებისასაც მუშაობს.

მხოლოდ ძმ. ესიკოვსკების ცირკს შეუძლიან იმის ჩვენება, რაც სხვებს არას დროს არ შეეძლებათ!

**დღეს, 26 ივნისს, 1913 წ.**

**გაიმართება**

## დიდი სახუმარო წარმოდგენა

**სიცილისა და იუმორისა** ანუ 1000 წამზე მეტი განუწყვეტელი ჰომერიული სიცილი. ასეთი წარმოდგენები იმართება სატახტო ქალაქებში მარტო ოთხშაბათობით. პროგრამა შედგენილია მხოლოდ სასაცილო და საიუმორო ნომრებისაგან. დღეს მონაწილეობას იღებენ მასხარები, ხუმარები, „რიჟიები“, ექსცენტრიკები, ... , გლადიატორები, ბუფ-კლოუნები და ს. გამოსვლა გამოჩენილი მოჯირითე ბულგარელი ქალის **ქ. თამარასი**. გამოსვლა მოხდება დაახლოვებით 10 ნახ. ს. და დღეს შეასრულებს ახალს, თავბრუდამსხმელ ნომრებს. დღესვე მონაწილეობას მიიღებენ ყველა პირველ ხარისხოვანი მსახიობები.

**დასაწყ. საღ. 8 ს.** დირექცია **ძმ. ესიკოვსკები.**

385 გამგე **ლ. მ. ხუნდაძე.**

## ღარიბ მოწაფეთა შემწე ტფ. გუბ. თავად-აზნაურთა საზოგადოების გამგე კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ საზოგადოების წევრთა

## წლიური კრება

ნაცვლად 2 ივნისს 1913 წ. დანიშნულ კრებისა, შესდგება სათავად-აზნაურო გიმნაზიის სადგომში **დღეს, 26 ივნისს, საღამოს 7 საათზე.**

**განსახილველია:** 1) საზოგადოების ანგარიში 1912 წლისა. 2) 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვა. 3) გამგე კომიტეტის მოხსენება საზოგადოების წესდების შესახებ. 4) მისივე მოხსენება საპენსიო წესდების შესახებ. 5) ქალთა სკოლის ინსტრუქცია. 6) პედაგოგიური და ადმინისტრატიული კითხვები. 7) ამორჩევა იმ წევრებისა, რომელნიც თავს ანებებენ თავიანთ თანამდებობას ვადის გასვლამდე, და ქალთა სკოლის სამზრუნველოს წევრებისა. 1190

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან.**

**ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.**

**ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | **მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. |
| | **მაღალაშვილი გ. გ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. |
| | **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12—1 ს. |
| | **ფილოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. |
| | **ექ.-ქალ. ენგელ მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** სამ., ხუთ., შაბ. 11—12. |
| ქირურგ. სნეულებანი. | **მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$. |
| | **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. |
| | **ფირალოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და ს. მშობ. სნეულებანი | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. |
| | **თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. |
| | **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1. |
| | **სულაკოვი ა. ი.** ყოველ დღე [illegible]. |
| ბავშვთა სნეულ. | **ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—$1^1/_2$. |
| | **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე $12^1/_2$—1. |
| | **ფილოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1. |
| ნერვიულ. სნეულებ. და ელექ. | **გედევანიშვილი მ. ა.** შაბათობით $10^1/_2$—11. |
| | **ჯავახიშვილი ნ. ნ.** ოთხშაბ., პარას. და კვირას 11—12 |
| | **ფონდოევი გ. ს.** ყოველ დღე 1—2 |
| ყელ. ყურის და ცხვირ. | **ათინიანცი ნ. ა.** ყოველ დღე $12^1/_2$—$1^1/_2$. |
| | **ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე $1^1/_2$—2. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—$2^1/_2$. |
| კან. და ვენერ. ავ. | **დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wassermann.** რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606“ და „914“ **წამლის შეშხაპუნება**, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1035

## ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება

**დრამატიული თხზულებანი:**

| | |
|---|---|
| ადამიანის ცხოვრება, თარგმანი. ფასი 50 კ. | ეგობრობა. დრ. 4 მოქმ. „ 30 „ |
| ბედმა მიღალატა. კომ. 3 მოქ. მ. „ 20 „ | ეზოვლები, დრ. 4 მოქმ. „ 4 „ |
| ბრძოლა არსებობისათვის. დრამ. პოემა. „ 60 „ | ოლიერი, დრ. თხუზ. „ 50 „ |
| გაყრა, გ. ერისთავისა. „ 5 „ | არო. დრამ. ნაწყვ. „ 3 „ |
| გამკემი. დრ. 3 მოქმ. გედევ. „ 25 „ | იჯაჭვული პრომეთე, ედიპე მეფე, მედია. „ 50 „ |
| გაღატაკებული ოჯახი, დრ. 3 მოქ. „ 10 „ | მკბეტი, ნათ. ი. მაჩაბლ. „ 40 „ |
| დარბე ლნი. დრ 4 მოქმ „ 30 „ | სძირალნი. გორკისა. „ 25 „ |
| დრამ. თხზულ. ბან. დ. ერისთავ. „ 1 მ. | ატვრის თვალი. „ 40 „ |
| დ ღი. დრ. 3 მოქმ. „ 20 „ | ერი პიესა, ტრ. რა იშვიათ შეშლილნი და კრიტიკოსთან. „ 25 „ |
| დრამები და კომ. „სორაპ.“ გამოც. „ 1 მ. | ერი პიესა, ცხოვრება ბრძოლაა, დრონი მეფობენ. „ 50 „ |
| ვაი ჭკუისაგან, გრიბოედ. „ 35 „ | ერი ჯიბგირი. ნათ. აბაშ. „ 40 „ |
| ილია დღე ჭიაფურაში „ 20 „ | ანთეონი ქართ. თეატრისა: 1) იჭვიანა, 2) ბნელ ოთახში, 3) ახირებულია. „ 30 „ |
| კენჭის ყრა. ს. ენ. 4 მოქმ. „ 50 „ | |
| მამა-შვილნი, ანუ გაუბ. 3 მოქ. მ. „ 15 „ | |
| მტარვლის ბედი. დრ. „ 10 „ | |

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1217.

**გამოსულია და იყიდება**

## ნ. შიუკაშვილის

პიესა **„მეგობრობა“**, დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. ვაზაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან. ავადმყ. $9^1/_2$ ს. [illegible] ს.

**ა. ნ. დიასამიძე** ყოვ. დღე, კვირ. გარდა სიფილ., კანისა და ვენერ. 11—$1^1/_2$ ს.

**ბ. ა. პოპოვი.** ყოვ. დღე, კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—$1^1/_2$ ს.

**ექ. ქალი იოსელიანისა**—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—$1^1/_2$ ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**გ. გ. კლდიაშვილი.** ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი. აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

**აჩამლოვ „606“-ით** 1035

## საზურთალოზე

**მშვენიერ ალაგას**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და ლიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს**, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული**, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1220

**ექიმი** ივ. გომართელი პირველი ივნისიდან პირველ ენკენისთვემდე ავადმყოფებს მიიღებს **ბორჯომში.** აგარაკი მირზოევისა. 307.

**ექიმი შ. ა. მიქელაძე.** 15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117 ტელეფონი 816.

**კბილის ექიმი ა. გ. ხოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ. და საღამოთი 5—7 ს.-მდე. გოლოვინის პრ. № 12. 1334

**ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი** ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 324.

**ექიმი ი. ი. ზურიშვილი** სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **გახსნრმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—$5^1/_2$ ს. **ელიზაბედ. ქ.**, № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფილ. პირდაპირ. 102

**კბილისა ექიმი ნინო რუხაძე** იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს., ოლღას ქუჩის შესახვევი № 5, სახ. მაქარაშვილისა.

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.


## სახელმწიფო სათათბირო

(დეპეშ. პეტ. სააგენტოსაგან)

**24 ივნისი**

თავ. **ვოლკონსკი** თავმჯდომარეობს.

შემოტანილ საქმეთა შორის არის პროგრესისტების განზრახვა შესახებ ბეჭდვითი სიტყვისა. თითქმის უკამათოდ მიღებულია 29 კანონ-პროექტი, მათ შორის შესახებ რიგის ნავთსადგურის გაუმჯობესებისა. კანონ-პროექტის შესახებ, რომელიც შეეხება ურალის ყაზახთათვის დახმარებას 1912 წლის უმოსავლობის გამო, მიღებულია ფორმულა, რომელიც [illegible] მთავრობამ ილონოს მოკლე ხანში საკანონმდებლო დაწესებულებას წარმოუდგინოს სასურსათო დებულება დასამტკიცებლად და თავის დროზე მიჰმართოს ხოლმე საკანონმდებლო დაწესებულებას დამშეულთათვის სურსათით დახმარების ნებართვისთვის. იმ კანონ-პროექტის შესახებ, რომელიც შეეხებოდა ორენბურგის ყაზახთათვის დახმარებას 1912—13 წლების უმოსავლობის გამო, მიღებულია ფორმულა **ხარლამოვისა:** გამოიკვლიოს მოკლე ხანში მთავრობამ, თუ რა ზარალი მიაყენა წელს სეტყვამ დონის ყაზახთ და ამით დააჩქარონ დახმარების აღმოჩენა. იმ კანონ-პროექტის შესახებ, რომელიც მოითხოვს 600 ათასი მანეთის გაღებას ამურის რკინის უმთავრესი ლიანდაგის დასამთავრებლად, მიღებულია გზათა მიმოსვლის კომისიის ფორმულა: მივიღეთ რა მხედველობაში, რომ ამ თანხის გაცემის საჭიროება არ არის ისეთი, რომელიც მოითხოვს მე-17 მუხლის ძალით დაკმაყოფილებას მოითხოვდეს, გამოვსთქვამთ სურვილს, რომ შემდეგში ასეთი მოვლენა არ განმეოროს სამინისტრომ და ასეთი თანხის გაცემები საერთო ხარჯთ-აღრიცხვის დროს იქნეს მოხსენებული. მე-17 მუხლის ძალით თანხა წაიღონ მხოლოდ მაშინ, როდესაც საერთო ხარჯთ-აღრიცხვის დებულების ძალით ეს შეუძლებელია. იმ კანონ-პროექტს, რომელიც შეეხება თურქესტანის საღენერალ-გუბერნატორო და „სტეპნაია“ ოლქებში ხარჯის განაწილებას, **თევკელოვი** შემდეგ სურვილით ასაბუთებს: რადგანაც ურალის ოლქს და მის გამო მთელ აღმოსავლეთ-სამხრეთ რუსეთს სიფრთხე მოელის ჭირის მხრივ, სასურველია სათათბიროსათვის, რომ ყირგიზის ველში, სადაც კი არსებობს სამედიცინო უბნები იყოლიონ ექიმები და ფერშლები, და საექიმო ზედამხედველობისა და შეწევნის საქმე შესაფერისად იქნეს დაყენებული.

**შინგარევი.** ჭირი და ხოლერა უმრავლეს შემთხვევაში აღმოსავლეთ რუსეთში გამოჩნდება ხოლმე პირველად. უპირველეს სახელმწიფოებრივ მოთხოვნილებას წარმოადგენს სახელმწიფოს ჯანმრთელობისათვის ცდა. ორატორი ამბობს, რომ მთავრობა ყურადღებას არ აქცევს სათათბიროს სურვილებს და არ უნდა შემოილოს ამ კუთხეებში არც ერობა არც სათათბიროს წევრთა არჩევნები. თუ ეს სურვილები არ იქნებიან განხორციელებული სამხრეთ-აღმოსავლეთში და კავკასიაში არ შეიძლება ამ ქვეყნებში სასანიტარო საქმე ჯეროვანად იქნეს დაყენებული და ჭირი და ხოლერა მუდმივი სიფრთხე იქნება რუსეთისათვის. მიღებულია **თევკელოვისა** და საფინანსო კომისიის ფორმულები: ჩვეულებრივი წესი საერობო მეურნეობის შემოღებისა საკმაყოფილო ვერ არის ამ მხარეების საჭიროებათათვის აუცილებლივ მთავრობა უნდა შეუდგეს, ადგილობრივ მცხოვრებთა წარმომადგენლობის დახმარებით ამ ქვეყნებში თვითმართველობის შემოღების საკითხის გამოსარკვევად; რადგანაც ამ მხარეებს არა ჰყავთ წარმომადგენელნი სათათბიროში, უკანასკნელს არ შეუძლიან ადგილობრივ საქმეთა ვითარების განხილვაში შევიდეს და სწორად დააფასონ გარემოებანი. ამიტომ საჭიროა მიეცეს სათათბიროს წევრთა ამორჩევის უფლება. გარდა ამისა საერობო სამეურნეო ხარჯი, რომელიც გაღებული იყო სირდარიისა, ფერგანისა და სამარყანდის ოლქებისათვის და რომელნიც საკმაო თანხას ვერ წარმოადგენენ, უნდა გაძლიერებული იყვნენ. უკამათოდ მიღებულია 18 კანონ-პროექტი. მათ შორის ვლადივოსტოკისა, მარიუპოლისა და ბერდიანსკის ნავთ სადგურების გაფართოვებისა: ვოლგაზე გემთა მიმოსვლის პირობების გაუმჯობესებისა, ერთი მილიონი 500.000 მან. ხოლერის [illegible] ბრძოლისათვის გაღებისა. კამათი [illegible] ისტვოს გემთა სამშენებლო ქარხნის მოწყობამ.

**ჩელნაკოვი** ამტკიცებს, რომ უკეთესი იქნება განავითარონ ობუხოვის ქარხანასთან არსებული საკოშკო წარმოება და უარყოფითად სცნობს პროექტს, რომელიც მოითხოვს ახალს საკოშკო წარმოების მოწყობას. ამიტომ ორატორი მოითხოვს მისგან შემოტანილ ფორმულების მიხედვით შესცვალონ კანონ-პროექტი.

**შინგარევი.** სავალდებულოდ სცნობს მთავრობისათვის, რომ მთავრობამ სამართლიანად მისცეს იმ ადგილებში ფასი, რომელიც უნდა ჩამოიჭრას უწყების საჭიროებისათვის, ხოლო ფასი, ღირებულებისა და არა შემოსავლიანობის მიხედვით უნდა იქნეს მიცემული.

**მოისეევი,** საადმირალტეისტვოს უფროსი. უწყებას საადმირალტეისტვოზე საკოშკო წარმოების დაარსება აღუძრა მხოლოდ გეოგრაფიულის მხრივ უმჯობესმა მდებარეობამ, რომელიც საშუალებას იძლევა მთელი წლის განმავლობაში გადავიტანოთ გემებზე საკოშკო ნაწარმოებნი, რომელნიც ძალიან ბევრს იწონიან. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საადმირალტეისტვოს ქარხანაში დაარსებული იქნება საკოშკო წარმოება, მაშინ შეგვიძლიან დროზე შევასრულოთ მცირე საგემთასაშენებლო პროგრამა. რაიც შეეხება შინგარიოვის სურვილს, ქალაქისათვის მიწის ფასის მიცემა გამოირკვევა საუწყებათა შორისო, კომისიაში; ეხლა ხან ეს საკითხი მინისტრთა საბჭოს აქვს განსახილველი და შემდეგ სათათბიროს წარედგინება. მაშინ სათათბიროზე იქნება დამოკიდებული დაიცავს თუ არა ქალაქის ინტერესებს.

**მარკოვი** 2 შეიძლება დაეთანხმოს კაცი ჩელნაკოვს, რადგანაც არ შეიძლება დავსტოვოთ ობუხოვის ქარხანასთან არსებული საკოშკო წარმოება. ორატორი მომხრეა მიეცეს უწყებას თანხა ადმირალტეისტვოს ქარხანასთან საკოშკო წარმოების საქმის მოწყობისათვის, მაგრამ მოითხოვს მიეცეს ობუხოვის ქარხანასაც თანხა წარმოების გასაძლიერებლად.

**სავიჩი**-მომხსენებელი — ემხრობა შინგარევის წინადადებას, ჩელნაკოვის წინადადება შეიძლება მივიღოთ, როგორც დამატებითი კომისიის წინადადებისა იმ აზრით, რომ თანხას ვაძლევთ არა მარტო ახალი საკოშკო წარმოების მოსაწყობად, არამედ ძველის, უკვე არსებულის, წარმოების გასაძლიერებლად.

კან.-პროექტი მიღებულია კომისიის რედაქციით შინგარევის შესწორებით. ხალხის დაუსწრებლივ მიღებულია 8 კანონპროექტი, მათ შორის სამხედრო უწყებისათვის თანხის მიცემის გაძლიერების შესახებ, მფრინავი მანქანების შესაკეთებლად, გასაახლებლად და შესანახ დარბაზების ასაგებად ფულის გაღებისა.

შემდეგ კრება ხალხის დასწრებით გაგრძელდა.

**ალექსეენკო** გამოდის მოხსენებით და აღნიშნავს იმ უთანხმოებებს, რომელნიც სათათბიროსა და საბჭოს შორის მოხდა 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განაწილების დროს. უთანხმოებანი უმთავრესად მოსპობილია, მხოლოდ ერთი უთანხმოება შესახებ განაწილებისა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის მუხლის „სკოლათა საშენებელ ფონდისა და სკოლათა საშენებელ საჭიროებისათვის თანხის მიცემის“ შესახებ ვერ მოისპო. სათათბირომ ეს თანხა 14 მილიონით აღნიშნა. საბჭომ 6 მილიონი მოსჭრა და 8 მილიონით აღნიშნა. კომისია წინადადებას იძლევა ძველი ხარჯთ-აღნიშვნა შეიტანონ. ალექსეენკო სტოვებს ტრიბუნას. საერთო ოვაციას უმართავს სათათბირო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს.

**ნეკლიუდოვი** მოახსენებს 20,000 მ. თანხის მიცემის შესახებ, რომელიც საჭიროა სად. რუტჩენკოვოდან სად. გრიშინომდე რკინის გზის შტოს გაყვანისათვის. გზათა კომისია საჭიროდ [illegible] ცნობილი, რადგანაც ქვა-ნახშირი არის საჭირო.

**დემჩენკო.** კომისიამ სცნო საჭიროდ, რომ ქვა-ნახშირის „შიმშილის“ გამო არა თუ 20.000 მან. გავიღოთ არამედ 100,000 მან. უნდა წავუმატოთ, რომ 1914 წლის შემოდგომისათვის იქმნეს შტო მზად. ამ რაიონში ბევრი ქვა-ნახშირია და საჭიროა რომ რკინის გზები იქმნეს გაყვანილი ამ ფულით.

**ნეკრასოვი.** იმის მიუხედავად, საჭიროა თუ არა რკინის გზა, ყურადღებას აპყრობს იმ სისწრაფეს, რომლითაც ეს კანონ-პროექტი გაჰყავთ და საჭირო საბუთები კი წარმოდგენილი არ არის. თუ სათათბირო ეხლა მისცემს ამ თანხას, ამით იგი იძულებული იქნება შემდეგში აუცილებლივ დაუმატოს ხოლმე თანხები ამ რკინის გზის შტოს.

ამიტომ ნეკრასოვი მოითხოვს გადაიდოს ამ თანხის გაცემის საკითხი შემოდგომისათვის.

**ნეკლიუდოვი:** სიჩქარით არ უნდა გავკვირდეთ, რადგანაც ყველამ უწყის, თუ რა გაჭირვებას განიცდის სამშობლო მრეწველობა ქვანახშირის უქონლობის გამო. ამ გზის სარგებლიანობა იჭვ გარეშეა. უდიდესი ქვანახშირიანი ადგილი საწარმოვოდ მოწყობილი იქნება, რაც ქვანახშირის ფასებს დასწევს.

**მაკოგონ**—ადგილობრივი მცხოვრები—ემხრობა ნეკრასოვისაგან გამოთქმულ აზრს.

**ანტონოვი** აფრთხილებს სათათბიროს საკითხის გადადებისაგან. საჭირო არის, რომ ეხლავე დამკვიდრდეს ეს გზა ხაზინაზედ, რადგანაც ის არ განმეორდეს, რაც მოხდა შავი ზღვის ნაპირის რკინის გზის საკითხის გამო ე. ი. კერძო გავლენა.

**მარკოვ—2:** ჰფიქრობს, რომ კანონ-პროექტის ამგვარად დამტკიცება ფორმალურის მხრივ გამოიწვევს წინაალმდეგობას, მაგრამ ქვანახშირით „შიმშილი“ მოითხოვს თანხის მიცემას.

**დემჩენკო.** საჭიროა ნდობით მოვეპყრათ საბიუჯეტო კომისიის დადგენილებას და უნდა შევეცადოთ ხელი შევუწყოთ მთავრობას ქვა-ნახშირით „შიმშილის“ წინაალმდეგ ბრძოლაში.

კანონ-პროექტი მიღებულია საბიუჯეტო კომისიის რედაქციით.

გამოქვეყნებულია ს.-დ. სიჩქარით შეკითხვა შესახებ ესტლიანდიის გუბერნატორისა, რომელმაც

მუშებს შეუზღუდა უფლება მინიჭებული 4 მარტის დებულებით. სიჩქარეს მხარს უჭერს მალინოვსკი და ტულიაკოვი. კენჭის ყრის დროს კანონიერი რიცხვი წევრებისა აღარ იყო და სხდომა ხვალისათვის გადაიდო.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **დახმარება ვ. ს. ქებურიას.** ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის ერთმა ნაწილმა გადასწყვიტა თავად-აზ. საგანგებო კრებაზე შუამდგომლობა აღძრას ავიატორ ქებურიას მატერიალურ დახმარების შესახებ, რადგან უკანასკნელს ხელმოკლეობის გამო რიგიანი მოტორის შესაძენად საშუალება არ აქვს.

✦ **მალიარიის კურსები.** 25 ივნისს გაიხსნა უფასო კურსები ექიმთათვის, ბეითალთათვის და სტ.—ექიმებისათვის ზოლოგიისა და იმუნიტეტისა. ლექტორებად მოწვეულნი არიან ბ-ნ მარტინოვსკი, დ:რასასევიჩი და დიატროპოვი. ჩაწერა შეიძლება კავკასიის მალიარიის სადგურში ექ. ეროფეევთან (მიხეილის ქ. ს. № 151), 1 სავაჟო გიმნაზიაში.

✦ **ქართული სკოლა კუკიაში.** სამოსწავლო წლის დაწყებიდან ქალაქის სამმართველო კუკიაში კიდევ ხსნის ერთს საქალაქო ქართულ პირველ-დაწყებით სასწავლებელს. სამოსწავლო კომისია ახლა შესაფერ შენობას ეძებს.

✦ ორ ივნისს ტფილისიდან მოსკოვის დასათვალიერებლად გაემგზავრნენ ქართული გიმნაზიის მეექვსე კლასის მოწაფენი რიცხვით 28 კაცი, მასწავლებელ შ. ქარუმიძის ხელმძღვანელობით. მოწაფეებმა დაათვალიერეს ბაქო, ტიხორეცკი, ცარიცინი, ვოლგა გემით, ნიჟნი ნოვგოროდი. მოსკოვიდან კავკავს ჩამოვიდნენ. ხოლო კავკავიდან საქართველოს სამხედრო გზით, ტფილისს ფეხით დაბრუნდნენ 23 ივნისს.

✦ **ნამესტნიკის თანაშემწე სენატორი ვატაცი** დღეს გუმბრს გაემგზავრა, სადაც დაესწრება მესაქონლეობის გამოფენის გახსნას. ეს გამოფენა რამდენადმე გააფართოვეს: მესაქონლეობის გარდა აქავე იქნება შინა-მრეწველობისა და სხვა.

✦ სრულიად **რუსეთის ბუნების მეტყველთა და ექიმთა მე-XIII** კრება გუშინ წინ დაიხურა. 24 ივნისს მოხდა უკანასკნელ შეერთებულ კრება, რომლის ანგარიშსაც ხვალინდელ ნომერში მოვათავსებთ.

✦ **მეცამეტე კრების** 60 წევრისაგან შემდგარი **ექსკურსია** 23 ივნისს ღამით ანისში გაემგზავრა. ანისიდან ექსკურსიის მონაწილენი წავლენ ერევანს, ეჩმიაძინსა და გოქჩას.

✦ ქალაქის საალმშენებლო კომისიამ განკარგულება მოახდინა, **მოაჯირი შემოავლონ გოლოვინის პროსპექტზე** ქალაქის დანგრეულ შენობას. სწორედ ამაზეა ნათქვამი: „ურემი, რომ გადაბრუნდება, გზაც მაშინ გამოჩნდებაო".

✦ ქალაქის გამგეობამ დაადგინა, **250 მანეთის შემწეობა მისცეს** გოლოვინის პროსპექტზე მომხდარ უბედურების დროს დაღუპულ არტო არუთინოვის შვილს გიორგის, მამის დასასაფლავებლად.

✦ დაჭრილი **გ. ჯავრიშვილი** მიხეილის საავადმყოფოდან უკვე გამოეწერა. მას ქალაქის გამგეობამ ჯერ-ჯერობით ახალი ტანისამოსი უყიდა.

✦ უბედურების დროს დაშავებულთაგან მიხეილის საავადმყოფოში წვანან მსახიობი **ვიქტორ მატარაძე და ელენე გედევანიშვილისა.** ექიმებს მათი მორჩენის იმედი აქვთ, თუ კი ჭრილობების მორჩენა არ გართულდა. მატარაძეს ძლიერ დაზიანებული აქვს თავპირი, უაზროდ ლაპარაკობს და ყურში თითქმის არ ესმის. ელენე გედევანიშვილის ქალს ხერხემალი ჰქონია გატეხილი.

✦ 24 ივნის მომხდარ უბედურებას დროს მაშინვე მოვიდნენ უბედურების ალაგას **მეფის მოადგილენი შატილოვი და ვატაცი, პოლიცმეისტერი ზასიპკინი,** მისი თანაშემწენი, სასამართლოს პროკურორი და უმაღლესი მთავრობა. მხოლოდ ერთი საათ ნახევრის შემდეგ, როდესაც უბედურების მსხვერპლნი გამოთხარეს და საავადმყოფოში წაიღეს მობრძანდნენ: ქალაქის მოურავი ა. ხატისოვი და გამგეობის წევრები ათაბეგოვი და ხუნუნცი.

✦ გოლოვინის პროსპექტზე მომხდარ უბედურების საქმის გამოძიება მიენდო **პროკურორის ამხანაგს ბ ნ უთნელიშვილს.**

✦ 24 ივნისს მეოთხე საპოლიციო ნაწილის **საქმის მწარმოებელმა ილინცკიმ** კარბოლის სიმჟავით თავი მოიწამლა და ათი წუთის შემდეგ გარდაიცვალა. მიზეზი გამოურკვეველია.

✦ 25 ივნისს დილის 2 საათზე, (სუდებნი ქუჩა, სახლი № 16-ში) **თავი მოიწამლა** როტმისტრის ქალმა მასწავლებელმა რაისა კიშელევამ. მაშინვე სწრაფ-მშველელი ეტლი გამოიწვიეს, მაგრამ მოწამლული მალე გარდაიცვალა.

## ქუთაისი.

12 ივნისიდან შეუდგა მოქმედებას კომისია. კომისია ხუთი კაცისაგან შესდგება და ფხიზლად ადევნებს თვალყურს პარკის წონას. კომისიის წევრები საზოგადო სასწორზე თვით სწონიან პარკს, ანგარიშობენ მისაცემი ფულის რაოდენას და „კვიტანციებს" აძლევენ. კომისია, გარდა ზემოაღნიშნულ მოვალეობის ასრულებისა, თვალყურს ადევნებს, რომ პარკის მყიდველებმა გარეშე საზოგადო სასწორისა პარკი არსად ასწონონ.

✦ 24 ივნისს ქუთაისის ბაზარზე იყიდებოდა პარკი შემდეგ ფასად. პირველი ხარისხის პარკი 17 მ. მეორე—15 მ. 10 შაურად 16 მ., მესამე—14 მ. და 14 მ. 10 შაურად.

✦ პარასკევ საღამოს დრამატული საზოგადოების მორიგ კრებზე კვლავ მცირე რიცხოვანი საზოგადოება შეიკრიბა, სხდომა მაინც შესდგა ბ. ი. ჩიმაკაძის თავჯდომარეობით წაიკითხეს გამგეობის მოხსენება, სარევიზიო კომისიის ანგარიში. კრებამ დაამტკიცა გასული წლის ხარჯთ-აღრიცხვა და მცირე კამათის შემდეგ, კრება სამშაბათისთვის გადაიდვა ახალ გამგეობის ასარჩევადდა საბოლოოდ იმის გამოსარკვევად—ეყოლება თუ არა ქუთაისს მომავლ სეზონში დასი.

✦ დღეს ქალაქის თეატრში მვრნაირად საინტერესო საღამო იმართება. იქნება კამათი სამდროო საპირბოროტო კითხვებზე, სიმღერა, მრავალსიტყვაობა, გამოცანები, ლექსთა კითხვა, ცეკვა-თამაში, ქართული სუფრა „ტოსტები"—სუფრის სიტყვები და სხვ. და სხ.

✦ ტეხნიკურ დაბრკოლებათა გამო ჟურნალი „ოქროს ვერძი-ს" შემდეგი ნომერი სამშაბათს, 25 ივნისს გამოვა.

✦ დ. სამტრედიაში არსდება სამეურნეო საზოგადოება. წესდების შემუშავებას უკვე შეუდგნენ.

✦ რამდენიმე ახალგაზდას განზრახვა აქვს, მოაწყოს ექსკურსია რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის დასავლელად. მსურველთ შეუძლიანთ „იმერეთის" რედაქციაში ჩაეწერონ. მსურველები 27 ივნისს, საღამოს 6 საათზე მოიყრიან თავს ხსენებულ რედაქციაში.

✦ წელს ოდესის უნივერსიტეტის ისტორია—ფილოლოგიური ფაკულტეტი შემდეგმა ქართველებმა გაათავეს პირველი ხარისხით: ვ. დემურიამ, გ. კვიცარიძემ, კ. ქავთარაძემ, გ. ლორთქიფანიძემ და ილია ცეცხლაძემ. მეორე: მ. კობახიძემ და გ. სამსონიძემ.

✦ სოფ. დაბლა ქვიტირში ერმილე ჩოგავაძის მეუღლეს სამი ბავში შეძენია ერთად, ორი ქალია და ერთიც ვაჟია.

✦ 1 ივლისიდან ქუთაისში მოხდება მომხმარებელ საზოგადოებათა წარმომადგენლების კრება. სასურველია, კრებას იმ საზოგადოებათა წარმომადგენლებიც დაესწრონ, რომელთა წესდება ამ უკანასკნელ დღეებში დამტკიცდა და რომელთა მოქმედება ჯერ არ დაწყებულა. კრება ხილავს და ბოლოს ბიუროს გამგეობის წევრთა არჩევანი მოხდება.

✦ 1912—13 წ. სეზონის განმავლობაში ქუთაისის დრამატ. საზოგადოებას დეფიციტი ქონია 6902 მანეთი და 44 კაპ. ე. ი. ყოველ წარმოდგენაზე 160 მანეთი და 75 კაპ.
(„იმერეთი").

# გოლოვინის პროსპ. მომხდარ უბედურების გამო

ფრიად სამწუხარო ამბავი მოხდა გუშინწინ ტფილისში. მით უმეტეს სამწუხაროა ეს ამბავი, რომ იგი გამოწვეულია ქალაქის გამგეობის დაუდევრობით. ყველამ ვიცით თუ, როგორ „სხვათა შორის" კეთდება საქმეები ქალაქის გამგეობაში. მუდმივ ასე ყოფილა და ახლაც ისეა, რომ გამგეობა კი არ არსებობს ქალაქისათვის, არამედ ქალაქი-გამგეობისათვის. საქალაქო მოღვაწეობის ასპარეზი გადაქცეულია ერთის ჯგუფის ეგრედ-წოდებულ „სოლოლაკელების" სათარეშო ასპარეზად. მათი განსაკუთრებული ყურადღება მიქცეულია თვისი საკუთარი „ბუდისა" თავიანთ მოკეთეებისა და ამხანაგმეგობრებისაკენ. ქალაქის დანარჩენი საქმეები მათ „სხვათა შორის" აინტერესებთ.

სწორედ ამის ბრალია, რომ ქალაქის საბჭოში არჩეულმა საალმშენებლო კომისიამ დროზე არ შენიშნა ის ნაკლი, რომელიც ჰქონდა შიოევის ნანდერძევს ძველის-ძველ შენობას. სწორედ ამ დაუდევრობის ბრალია, რომ ქალაქის „მამათა" დაუდევრობამ გუშინწინ 9 უდანაშაულო ადამიანი იმსხვერპლა. საბჭოს სხდომის დროს ერთმა ხმოსანთაგანმა, ბ. მიტკევიჩმა, აკი გააფრთხილა მთელი საბჭო: შენობა ძველია, მესამე სართულის დაშენებას ვერ აიტანსო, მაგრამ მის სიტყვებს ყურიც არავინ ათხოვა; ქალაქის მოურავმა განაცხადა, რომ ქალაქის საალმშენებლო კომისიამ დაათვალიერა იგი და შენობა მკვიდრი აღმოჩნდა. ახლა, როდესაც ჰხედავ ჩამონგრეულ გამირს, გაოცებული ხარ, როგორ გაბედა საალმშენებლო კომისიამ ასეთი დადგენილების ხელის მოწერა. მთელ შენობაში ორი-სამი მუქა კირი არ ურევია; შენობა ერთიანად ტალახით არის ნაშენები; კავკასიის ნამესტნიკის მოადგილემ, უბედურების შემდეგ, აიღო თუ არა საშინჯად ხელში აგური ცარცივით დაიფშვნა. ასეთი დაუდევრობაა ქალაქის სხვა შენობების აშენების დროსაც. ამ დროს კი ქალაქის გამგეობა იმ განაპირას მცხოვრებლებს, რომელთაც მისი სიყვარული და კეთილ მოპყრობა ვერ დაუმსახურებია, იმდენად ავიწროებს, რომ უკანასკნელნი ხშირად იძულებულნი არიან სახლის აშენებაზე უარი სთქვან. ამ სიყალბესა და „სხვათა შორის" მოქმედებას ადგილი არ ექნებოდა, საბჭოში რომ ქალაქის მცხოვრებთა [illegible] ვენენ. სწორედ ამ სიყალბის დასაფარავად სცდილობდა სოლოლაკის დევ-გმირი და მისი კამპანია, როდესაც ტფილისის შვიდ საარჩევნო უბნად დაყოფას წინააღუდგნენ. მაშინ სწორედ აღნიშნეს, რომ გუბერნატორი გაცილებით მემარცხენე გამოდგა საქალაქო არჩევნებში, ვიდრე „სახელგანთქმულნი" საზოგადო მოღვაწენი ა. ხატისოვი და მთელი მისი „ამხანაგობა". ჩვენ ილლიუზიებს ვერ მივეცემით და ვერ ვიტყვით, რომ ეს „სამაგალითო გაკვეთილი" შემდეგში მაინც გამოაფხიზლებს ქალაქის მოჭირნახულეთ, მაგრამ ამას კი მოვითხოვთ, რომ უდანაშაულო მცხოვრებთ, რომელნიც ქალაქის სასარგებლოდ გაუგონარ გადასახადებს იხდიან, თავიდან აგვაშორონ ქალაქის ბატონპატრონთა დაუდევრობისაგან მოვლინებული ხიფათი.

**კორდელ ი.**

# ქუთაისის ავ-კარგი

19 ივნისს, გათავდა ქართულ გიმნაზიაში გამოცდა მერვე კლას ს მოსწავლეებისა; კურსი გაათავა 67 მოწაფემ. მოგვყავს მათი სახელები და გვარები: დავით ბერეკაშვილი, ვენედიკტ ბერაძე, ერმილე ვახაძე, იასონ გაბუნია, ვლადიმერ გაჩეჩილაძე, მოსე გობრონიძე, შალვა გოგორიშვილი, არჩილ დადიანი, ამბერკი ჯიბლაძე, ლეონტი ელიაშვილი, ილარიონ ელენტი, იოანე იოსავა, გიორგი კანდელაკი, ალექსანდრე კარტოზია, ისაია ყიფიანი, ტერენტი ყურაშვილი, ვარლამ ლეშკაშვილი, მიქაელ მგებრიანცი, შალვა მიქელაძე, ბესარიონ მჭედლიძე, ალექსანდრე ნადირაძე, დავით ნაზემცოვი, ვიქტორ ნოზაძე, ნიკოლოზ ოჰანიანცი, შალვა სანებლიძე, შალვა ტაბუკაშვილი, თეიმურაზ წერეთელი, ალექსანდრე ცინცაძე, იოანე ჩიგოგიძე, ალექსანდრე ჭირაქაძე და ალექსანდრე შვანგირაძე. ნიკოლოზ აბესაძე, არკადი არდიშვილი, პროკოფი ახვლედიანი, ამბროსი ბახტაძე, გიორგი გამყრელიძე, ანდრია გუგუშვილი, ნიკოლოზ დადეშკელიანი, დავით ჟორდანია, იოანე ყიფიანი, ირაკლი კლდიაშვილი, სერგეი კლდიაშვილი, იოილ ლორთქიფა, ნიძე, შალვა ლორთქიფანიძე, სამუელ მარგველაშვილი, გიორგი მასხარაშვილი, სვიმონ მაჭავარიანი, მეძმარიშვილი გრიგოლი, მალაქია მჟავანაძე, მიხეილ მხეიძე, თედორე ნაცვლიშვილი, გიორგი ფაღავა, ივან ფაღავა, ლევან ფაღავა, სევერიან ფაღავა, გრიგოლ პატარაია, გრიგოლ ფხალაძე, მიხეილ ტყავაძე, თოფურიძე იროდიონ, მიხეილ ჰავჰიანიძე, ეფრემ ჩახუნაშვილი, ვალენტინ ქიქინაძე და პლატონ შუშანია.

—

საადგილ მამულო ბანკის რწმუნებულთა მიერ არჩეულმა კომისიამ, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ბან[illegible] შენობის აგება. გადასწყვიტა შენობის აგება ჯერ-ჯერობით გადასდოს და ძველი სახლის პატრონს მოურიგდა ხუთის წლის ვადით. ამ დროს განმავლობაში ბანკის გამგეობამ უნდა იზრუნოს შენობისათვის საგანგებო ადგილის მოსაპოვებლად.

—

წარსულ კვირაში მოქმედება დაიწყო საგუბერნიო საერობო ხარჯთაღრიცხვის შემადგენელმა კომისიამ თანახმად ნამესტნიკის ცირკულიარისა. ამ ცირკულიარით როგორც სამაზრო ისე საგუბერნიო კომისიაში მონაწილეობას იღებენ გარდა მოხელეებისა საგუბერნიო ადმინისტრაციის მიერ არჩეული პირ[?]ცები ადგილობრივ მცხოვრებთაგან. პირველ სხდომაზე კომისიამ მსჯელობა იქონია გზების შესახებ ზუგდიდისა და შორაპნის მაზრებში. სხვათა შორის კომისიას საჭიროდ უცვნია შემდეგი გზების გაკეთება საერობო ხარჯით: ზუგდიდიდან ჯვარამდე სვანეთის ბილიკას შეერთებამდე, შორაპნიდან მარელისამდე ძველი გზა-ტკეცილის განახლება, საჩხერიდან რაჭის საზღვრამდე და ჭიათურიდან გორის მაზრის საზღვრამდე სოფელ კორბოულზე. დანარჩენი მაზრების გზების შესახებ კომისიას შემდეგში ექნება მსჯელობა.

# ტფილ. გუბერ. თავ.-აზნ. საგანგებო კრება

24 ივნისს კრების გაგრძელება დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში მოხდა. სხდომა დაიწყო საღამოს 8 ნახ. საათზე გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლის თავ. ქ. აფხაზის თავმჯდომარეობით.

მდივანმა კრებას მოახსენა წარსული კრების ოქმი, რომელიც დამტკიცებული იქმნა თ. დ. ჩოლოყაშვილის შესწორებით.

**თავმჯდომარე.** სთხოვს ჩაწერილ ორატორებს ნუ გაიმეორებენ წინედ ნათქვამს, რადგან საკითხი საკმაოდ არის გაშუქებული ყოველ მხრივ და მის გადაწყვეტა გვიანდება.

თავ. **ლ. ჯანდიერი** ჰფიქრობს, რომ ხელშეკრულების მიღების მოწინააღმდეგე ორატორებმა ჯერ არსებითად ვერაფერი ახალი ვერა სთქვეს და ვერ დაარღვიეს ის საბუთები, რომელიც საფინანსო კომისიამ წარმოადგინა. კამათი სწორედ საფინანსო კომისიის დებულებათა ფარგლით უნდა განისაზღვრებოდეს,

**ვ. ყიფიანმა** ვრცელი, შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა. მისი აზრით თვალსაჩინო მომენტად იმის გამოსარკვევად, სავალდებულოა თუ არა ხელშეკრულება, თავ. გურამოვისათვის მიცემული რწმუნებულება კი არ არის, არამედ 7 თებერვლის დადგენილება, რომელითაც არჩეული იყო სამი კაცისაგან შემდგარი დეპუტაცია. ვსთქვათ, საქმე სასამართლოში გადავიდა და იქ თავ. ჩოლოყაშვილმა და თავ. ჭავჭავაძემ, რომელსაც ხელშეკრულობაზე ხელი არ მოუწერიათ, განაცხადეს, რომ ისინი ხელშეკრულებას ეთხრობიან ე სრულიად ეთანხმებიან თ. გურამიშვილის მოქმედებას. მაშინ ისეთი მდგომარეობა შეიქნება, რომ თავად-აზნაურობა უეჭველად წააგებს საქმეს. ამ საკითხზე გვიპასუხონ იურისტებმა. ორატორის აზრით თავად-აზნაურობამ რომ საქმე წააგოს, მაშინ თავ.-აზნაურობას მოუხდება 550 მანეთის გადახდაც ე იმ პროცენტებსაც, რომელიც ამ ხანში გაიზრდება და სასამართლოს ხარჯებისაც. დამატებით აქციების გამოშვების საქმე არც ისე ცუდად არის დაყენე-

# სულიერად და-მაზინებული

თანამედროვე ემპირიული ფსიხოლოგია რომელიმე სულიერ ძალას იმდენად ახასიათებს, რამდენადაც ამ სულიერი ძალის მოვლინება ემორჩილება პირდაპირს დაკვირვებას. ამ თვალით თუ შევხედავთ ადამიანის იმ მნიშვნელოვან სულიერ მხარეს, რომელსაც ყურადღებას ეძახიან, ნათლად დავინახავთ რამდენიმე თვისებას, რომელიც ახასიათებს მას, როგორც ყურადღებას, სხვა სულიერი ძალებისაგან განსასხვავებლად.

ყოველი შთაბეჭდილება ანუ ობიექტი, ფსიხიური იქნება ის თუ მატერიალური მით უფრო გარკვეულსა და ნათელ სახეს ღებულობს, რამდენადაც ჩვენ ვაჩერებთ მასზე ჩვენს ყურადღებას. უკანასკნელის საშუალებით უთვალავ შთაბეჭდილებათა შორის ჩვენ განვიცდით მხოლოდ სრულიად განსაზღვრულ რიცხვს; მიტოვებული, განდევნილი ჩვენი ყურადღების ფარგლიდან, სხვა ობიექტი, რასაკვირველია, ჩვენთვის იმ დროს არ სუფევს და შეუმჩნეველი რჩება. როცა ადამიანს მძლავრად აქვს მიპყრობილი ყურადღება რომელიმე ერთ საგანზე, ის ვერ ამჩნევს და ვერც გრძნობს სხვა მოვლენებს ვერც გარეგანი და ვერც შინაგანი ცხოვრებისას. ის არ განიცდის არც ტკივილს და არც შიმშილს, მისთვის სდუმს მთელი მსოფლიო, ის ვერც გრძნობს ვერავითარ სხვა მოთხოვნილებას.

არქიმედი იმდენზე გატაცებული იყო თავისი გეომეტრიული თეორემებით, რომ სრულებით არ გაუგია, როგორ აიღეს ქალაქი მტრებმა, როგორ შევარდნენ მის ბინის გასანადგურებლად. მან გაიგო მტრების შემოსევა და დაინახა თავისი საშიშარი მდგომარეობა მხოლოდ მაშინ, როდესაც მისგან სილაზე დახატული გეომეტრიული ფიგურები ბარბაროსებმა წაუშალეს. ასეთი მნიშვნელობა და თვისება ყურადღებისა დიდი ხანია შემჩნეული იყო. რუსეთის ერთი გამოჩენილი მეცნიერთაგანი, ვერ გრძნობდა კბილების საშინელ ტკივილს, როდესაც ლექციის კითხვას შეუდგებოდა; იმანუელ კანტი, რომელიც სიბერის დროს ქარებით იტანჯებოდა ამ საშინელ ტანჯვას იმით იქარვებდა, რომ თავის ყურადღებას აქცევდა რომელიმე აზრს. ამ ხერხის განმკურნებელი ძალა იმდენად დიდი იყო, რომ ყოველგვარ ავადმყოფობისაგან შველას მეცნიერი მასში ჰხედავდა. ყურადღების ასეთ თვისებით სარგებლობენ ინდოეთის ფაკირები, რომლებიც ისე გაერთობიან ხოლმე ფიქრებში, რომ რამდენიმე თვეობით დგანან ფეხის თითებზე და ვერ ტყობილობენ ვერც სიცხეს, ვერც დაღალვას, ვერც შიმშილს და ვერც წყურვილს.

მაგრამ ყურადღება არა თუ აძლიერებს რომელიმე შთაბეჭდილებას, არამედ ანვითარებს თვით ჩვენ გრძნობებსაც, რომლებიც შეადგენენ უპირველესსა და უმთავრეს საშუალებას გარემოცული ქვეყნიერების შემეცნებისათვის. ერთ ბრმას იმდენად ჰქონდა განვითარებული სმენა და შეხება, რომ ადამიანის მოახლოვებას იგი მხოლოდ ჰაერის სიმშვიდის დარღვევით გრძნობდა. ხშირად მოიპოვება ისეთი გამოცდილი ხაზინადრებიც, რომლებიც მხოლოდ ხელის შეხებით იცნობენ ქაღალდის ყალბ ფულს.

თუ თქვენ დანიშნულ დროზე ელით ვისმე, რომლის ნახვა თქვენ დიდად გაინტერესებთ, მაშინ სულ ადვილად გაიგონებთ ზარის ჩუმ რეკასაც, რომელიც სხვა შემთხვევაში თქვენთვის შეუმჩნეველი დარჩებოდა. ერთი სიტყვით, ყურადღება არის ისეთი კონცენტრიული სულიერი ძალა, რომლის საშვალებით ჩვენთვის ნათელი ხდება რომელიმე პროცესი და რომლის გავლენითაც სხვა ობიექტები დროებით იკარგება გონების ფარგლიდან.

თუ მხედველობაში მივიღებთ ყურადღების ასეთ თვისებას, მაშინ ადვილი წარმოსადგენი იქნება ის, თუ რა გამოუთქმელი მნიშვნელობა აქვს ამ სულიერ ძალას ჩვენს ზნეობრივსა და გონებრივ ცხოვრებაში.

მაგრამ ყურადღებაც არის და ყურადღებაც. როდესაც მახლობლად გაისმის ვისიმე გულშემზარავი კივილი, მაშინ, უეჭველია, გართული ჩემი ყურადღება უნებლიედ მოშორდება თავის პირდაპირ საგანს და მიეპყრობა ამ ჩემთვის არა-ჩვეულებრივს მოვლენას. ამ შემთხვევაში მე კი არა, გარეგანი მიზეზი ბატონობს ჩემს ყურადღებაზე, რადგანაც ის იპყრობს მას ჩემი ნების წინააღმდეგ. ასეთ ყურადღებას ჩვენ ვეძახით პასიურ ყურადღებას. იგი ნაკლებად ემორჩილება ჩვენს ნებას, მისი წარმოშობა სრულიად დამოკიდებულია ამა თუ იმ საგნის განსაკუთრებულ თვისებათაგან. მაგრამ ხშირად ადამიანიც განაგებს იმ კომპასის მიმართულებას, რომელსაც ჩვენ ყურადღებას ვეძახით. ვინ წარმოიდგენს მაგ., უფრო მოსაწყენ შრომას, როგორიც არის მოწაფეთა რვეულების გასწორება, მე კი თავს ძალას ვატან და ვეწევი რამოდენიმე საათობით ამ ჩემთვის უსიამოვნო შრომას მაშინ, როდესაც ჩემს წინ ძევს ბევრი საინტერესო წიგნი, რომლის დასრულებაც მწყურია. ეჭვი არ არის, რომ აქ მოქმედებს ჩემი ნება, რომელიც ამოძრავებს ამ ფსიხიურ ძალას მისი სურვილისამებრ. თუმცა ასეთი ყურადღება ბუნებრივი გაგრძელებაა პასიური ყურადღებისა, მაგრამ მისგან დიდად განსხვავდება, როგორც თავისი თვისებებით, ისე მნიშვნელოთ, ამიტომ ფსიხოლოგები მას აქტიურ ყურადღებას ეძახიან.

გადაჭრით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ჩვენი ცოდნა, მეცნიერება შეუძლებელი იქნებოდა, რომ ადამიანს არ ქონდეს აქტიური ყურადღება.

გარემოცული ქვეყნიერება სავსეა უთვალავი მრავალსახიერობით, ბუნებამ ყოველაფერი კონკრეტული, ინდივიდუალური სახით შეუქმნია. თქვენ ვერ შეხვდებით ბუნებაში ორს ისეთ მოვლენას, რომელთაც არ ახლდეს თავისი დამახასიათებელი, ინდივიდუალური თვისებანი და რომლებიც ამის გამო ერთი მეორესაგან არ განსხვავდებოდეს. მაგრამ ამასთან ერთად თქვენ ვერ შეხვდებით ისეთ მოვლენას, რომელიც აბსოლუტურად, ყოველ მხრივ განსხვავდებოდეს ერთი მეორისაგან. — მათ შორის თქვენ ყოველთვის დაინახავთ ცოტად თუ ბევრად საერთო თვისებებს, რომლებიც, ასე თუ ისე, ყოველივე მოვლენას ერთი მეორეს უახლოვებენ. სწორედ რომ ასეთი თვისება ადამიანის სულისა, რომელიც ყოველ საგანში ჰხედავს არა თუ განმასხვავებულ თვისებებს, არამედ საერთოსაც, ჰქმნის შესაძლოდ მეცნიერების წარმოშობას და მის განვითარებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ადამიანი დაიბნეოდა ამ უთვალავ მრავალ სახიერობაში და ვერასოდეს ვერ შესძლებდა ბუნების რომელიმე კანონის გამოკვლევას. ჩვენი მეაზროვნე სული მით ერევა გარემოცულ მრავალ სახიერობას, რომ ის საგნებს ერთი მეორეს ადარებს, არჩევს მათში საერთოსა და ინდივიდუალურს, აერთებს პირველთ, ჰქმნის ამით საერთო წარმოდგენას, ხოლო უკანასკნელში თავის მხრით აცალკევებს არსებითს არა არსებითისაგან, წარმოშობს ცნებას, უკავშირებს მათ ერთი მეორეს, აზროვნობს და მით აკვლევს საერთო კანონებს, რომლის ძალას ემორჩილება ბუნება და რომელსაც იყენებს თავის ცხოვრების საკეთილდღეოდ. ასეთია მეცნიერება, თუ მას შევხედავთ ფსიხოლოგიურისა ან ლოღიკური თვალსაზრისით. და აქტიური ყურადღების მნიშვნელობაც ჩვენ მხოლოდ მაშინ შეგვიძლია შევაფასოთ, როდესაც ასეთ აუცილებელ მეცნიერების პროცესს წარმოვიდგენთ. მართლაც, როგორ შეუძლია ადამიანს შეამჩნიოს დაწვრილებითი თვისებები ყოველივე მოვლენისა, შეისწავლოს ის, შეადაროს ეს თვისებები ერთი მეორეს, შექმნას ნამდვილი ცნებები, გამოიკვლიოს მათი კანონები, თუ ის არ ისარგებლებს აქტიური ყურადღებით.

პასიური ყურადღებით რომელიმე მეცნიერულ ჭეშმარიტების გამოკვლევა ხომ შეუძლებელი ხდება, რადგანაც ყოველ უმნიშვნელო წარმოდგენას შეუძლია გადაიტანოს ჩვენი ყურადღება იმ საგნიდან, რომლის გარჩევას ჩვენ ვფიქრობთ. განა შეეძლო იმანუელ კანტს შეექმნა თავისი უკვდავი თხზულება: „კრიტიკა წმინდა შემეცნებისა", რომ მასში არ ყოფილიყო ზედმეტად განვითარებული აქტიური ყურადღება?! განა გვეყოლებოდა ლეიბნიცი, ნიუტონი, დეკარტი, იუმი და ბევრი სხვა გამოჩენილი მეცნიერ-ფილოსოფოსი, რომ ისინი არ ყოფილიყვნენ სრული განხორციელება აქტიურ ყურადღებისა? რასაკვირველია, არა!

როცა ინგლისელ გამოჩენილ მათემატიკოსს ჰკითხეს, როგორ სწვდებოდა ის თავის სამეცნიერო გამოკვლევას, მან დაბეჯითებით უპასუხა, რომ აქცევდა უზომო ყურადღებას ბუნების მოვლენებს, უკვირდებოდა მათ და ასეთი გზით არკვევდა სხვა და სხვა ჭეშმარიტებას. „მეო", ამბობდა საფრანგეთის გამოჩენილი იმპერატორი ნაპოლეონი I,—„მაწერდნენ ბრიენის სკოლაში რაღაცა არა ჩვეულებრივ ნიჭს, მე კი ვიყავი უფრო ყურადღებიანი, ვიდრე ჩემი ამხანაგები"-ო. საფრანგეთის გამოჩენილი ფილოსოფოსის აზრით გენიოსი არის მხოლოდ დაუღალავი აქტიური ყურადღება, იქ სადაც არ არის უკანასკნელი, არ არის არც ცოდნა არც მეხსიერება და არც სხვა რაიმე ნიჭი.

ჩვენ შეგვიძლია გადაჭრით ვსთქვათ, რომ სკოლაში ის ბავშვი უფრო წინ მიდის, რომელსაც ძალუძს მასწავლებლის გაკვეთილი ყურადღებით მოისმინოს და დაკვირვებით მოეპყრას ყოველივე იმას, რაც მის გარშემო ხდება. თუ კი მოსწავლე-

ბული, როგორც ბევრსა ჰგონია. წარმოების გაფართოვება ბანკს ისე არ შეუძლია, თუ თავად-აზნაურობა არ დასთანხმდა. მეორე მხრით, საფინანსო კომისიის აზრით, წარმოების გაფართოვება თავად-აზნაურობისათვის არც ისე საშიშარია, იმიტომ, რომ შეიძლება ეს აზნაურობისათვის ხელსაყრელ პირობებში მოხდეს. მაგრამ ვთქვათ, თავ.-აზნაურობამ ნება არ დართო წარმოების გაფართოვებისა, რა მოხდება მაშინ: ბანკი ან უარს იტყვის რკინის გზის აშენების დასრულებაზე, ან და თავის ნებით გააფართოვებს საქმეს. რკინის გზის აშენებაზე იგი უარს ვერ იტყვის, რადგან რუსეთ-აზიის ბანკი ისეთი დიდი დაწესებულებაა, რომ ასეთ ნაბიჯის გადადგმას არ მოისურვებს. 250-300 ათასის „რისკი“ მისთვის სრულიად უმნიშვნელოა, ყოველ შემთხვევაში უარიც რომა სთქვას რკინის გზის შენებას ხაზინა დაამთავრებს. რითი აგებს პასუხს ბანკი თავად-აზნაურობის წინაშე თუ საქმე გააფართოვა? გამოშვებული აქციების ფასის ნახევრით. ორატორი შემდეგ ანგარიშობს: ვსთქვათ, სააქციონერო თანხა 2 მილიონ მანეთს უდრის, აქედან 1 მილიონ მანეთის აქციები თავად-აზნაურობას ეკუთვნის. ამ აქციების დივენდი იქნება 100,000 მან. ე. ი. 5 პროც., ასზე—ხუთი მანეთი. აქციების „alpari“-ად ღირებულების დროს. ახლა ვთქვათ, გამოუშვეს 500,000 მან. დამატებითი აქციები. დივიდენდი ისევ 100,000 მანეთი დარჩება. მაშინ 100 მანეთზე იქნება—4 მანეთი. აქციების ფასი მაშინ იქნება არა 100 მანეთი, არამედ 80 მ. და მილიონ მანეთის აქციებს დაეკარგება 200,000 მანეთის ღირებულება. ეს ფასი იქნება გაშვებულ აქციების ნამდვილი ღირებულობის ნახევარი (500,000 მან.) ბანკი თავად-აზნაურობის წინაშე სწორედ ამ თანხით აგებს პასუხს. შემდეგ ორატორი დაწვრილებით ეხება კახეთის რკინის გზის შემოსავლიანობას და საფინანსო კომისიის დასკვნას დიდ მნიშვნელობას აძლევს.

შემდეგ ორატორი ეხება სიღნაღ-ბაქოსა და შავი-ზღვის კიდის რკინის გზებს და ამტკიცებს, რომ ამ გზების გაყვანის შემდეგ კახეთის რკინის გზის შემოსავალი ერთი-ორად გაიზრდება. ორატორი ამტკიცებს, რომ ეხლანდელი ნავარაუდევი შემოსავალიც გაცილებით მცირეა სინამდვილესთან შედარებით, რადგან ყველასათვის ეჭვს გარეშეა, რომ ახალი გზების შემოსავალს სახელმწიფო კომისია მუდამ ანახევრებს ხოლმე. ორატორის აზრით, კიდეც რომ მოუხდეს თავად-აზნაურობას ფულის დამატება, პირველ ორ-სამ ნაწილს, ეს თანხა 25 ათასს არ აღემატება დაასეთ დიდ საქმისათვის ეს სრულიად უმნიშვნელოა.

**ბ. ყიფიანის** შემდეგ კიდევ რამდენიმე ორატორმა ილაპარაკა და კამათი ღამის 12 საათამდე გაგრძელდა. შემდეგ ორივე საკითხს კენჭი უყარეს. პირველი საკითხი: მიიღოს თუ არა თავად-აზნაურობამ თავ. დავით ალექსანდრეს ძის გურამიშვილის მიერ 1913 წლის 6 აპრილის დადებული ხელშეკრულება რუსეთ-აზიის ბანკთან, კახეთის რკინის გზას შესახებ—მიღებულ იქმნა 44 ხმით 16-ის წინაალმდეგ. შემდეგ მეორე საკითხი: საფინანსო გეგმა, რომელიც წარმოდგენილი იყო დეპუტატთა საკრებულოს მიერ, მიიღეს 52 ხმით 8 წინაალმდეგ.

დანარჩენი საკითხების განხილვა გადაიდო 25 ივნისისათვის.

## საერთო მიზნისთვის დაქსაქსული მოქმედება

წერილი ჩვენებურ დრამატიულ საზოგადოების გამგეობათა მიმართ.

(გაკვრით)

როგორც გადმოგვცეს, მომავალ თეატრალურ სეზონში ქუთაისს ქართული დასი არ ეყოლება, რადგანაც იქაურ სცენაზე მოღვაწე თვალსაჩინო მსახიობნი ტფილისის დრამატიული საზოგადოების გამგეობას მოუწვევია.

დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა თეატრალურ ხელოვნებისა ჩვენსავერ განსაკუთრებულ პირობებში მყოფ ერებისათვის ყველასთვის აშკარაა. განსაკუთრებული პირობებივეა მიზეზი, რომ ჩვენებურ სასცენო დასებს არ ძალუძთ, ჯერ-ჯერობით, თავისთავის მატერიალურად უზრუნველყოფა და საჭიროებს საზოგადოების დახმარებას. ამითვე აიხსნება დრამატიულ საზოგადოებათა არსებობა აღმოსავლეთსა და დასავლეთ საქართველოში. ამ საზოგადოებათ საერთო მიზანი აქვთ, ე. ი. ხელი შეუწყონ თეატრალურ ხელოვნების აყვავებას მთელ საქართველოში და ამ დიადი მიზნის განსახორციელებლად, ეს საზოგადოებანი ერთმანეთს ხელს კი არ უნდა უცარავდნენ, არამედ შეთანხმებით და სოლიდარულად უნდა მოქმედებდნენ; თითოეულ მათგანის განკერძოებულ მოქმედებას არ უნდა ჰქონდეს ხასიათი ხარბი ანტრეპრენიორისა. კარგად ვიცით, რომ ჩვენ ღარიბნი ვართ სცენაზე მოღვაწე, ნიჭიერ პირებით და მათი ერთ-ერთ მხარეს გადაპირება,—ერთნაირი ღალატია საერთო საქმისა.

თანაბრად საჭიროა ქუთაისში ღირსეულ დრამატიულ დასის ყოლა, ვინაიდან დასავლეთის ქართველობა მეტს მთლიან ძალას წარმოადგენს და იმათთვის უმთავრესს კულტურულ გასართობს ქართული თეატრი შეადგენს. ან კი რა ადგილი უნდა ჰქონდეს აღმოსავლეთ-დასავლეთის დრამატ. საზოგადოებათა ამნაირ ჯიბრსა და შენ-ჩემობას ასეთს დიდ საერთო საქმეში. პირიქით, ზნეობრივ-მატერიალური მოსაზრება უნდა უკარნახებდეს, რომ ორივე მხარე შეთანხმებით და ერთსულოვანებით მოქმედებდეს, შეძლებული ხელმოკლეს ეხმარებოდეს: ტფილისი ქუთაისზე არც ისე დაშორებულია და თუ საერთო დრამატიულ დასის ყოლა შეუძლებელია, საქმე იმგვარად უნდა მოეწყოს, რომ თვალსაჩინო პირნი მაინც იცვლებოდნენ: ხან აქაურ სცენაზე თამაშობდნენ და ხან იქაურზე.

გ. ა—ციხელი.

## შრომის სახლში

(მოწაფეთა ხელსაქმის პირველი გამოფენა ელ. თარხან-მოურავის ქალის პრო-კერვის სკოლაში ქ. გორში.)

მოწიწებით, კრძალვით შევიდოდი იმ წმინდა სახლში... გული მიტოკავდა, ვაი თუ ღარიბი იყოს გამოფენა, უფერული, უტყვი და მნახველს გული შეუცვლელოს ამ სკოლაზე-მეთქი, მაგრამ ამასთანავე იდუმალი ხმა ჩამძახოდა ყურში: „ხომ იცნობ ელენეს უნარს, ენერგიას, საქმის სიყვარულს, მუყაითობას! ხომ იცი მუყაითობას, ცდას, ენერგიას მძლეთამძლეობა შეუძლიაო!..“ სწორედ ეს იდუმალი ხმა მმატებდა ძალას, მამხნევებდა, როცა წიგნში წავაწერე ჩემი გვარი, გამოვართვი მოწაფე ქალს პროგრამა და... გამოფენის დარბაზისკენ ვქენი პირი... გაჰქრა შიში, იჭვიანობა და გაიფურჩქნა იმედი... სკოლის მოზრდილი დარბაზი სავსე იყო მოწაფეთა ნამუშევარით, ნაშრომით... ყველა მხიარული, ყველა მოცინარი...

შესვლისათანავე თქვენს თვალწინ მარჯვნით და მარცხნით გადაიშლება გრძელი მაგიდა, დატვირთული მოწაფეთა ნამუშევარით. ბლომად დაუმზადებიათ ნაკერი, ნაქსოვი, ნაქარგი, ნაცური ოქრომკედითთუ აბრეშუმით სუფრები, პირსახოცები, ცხვირსახოცები, ხელსახოცები, ბალიშისა და მუთაქის პირები, არშიები, ბავშვის გულსაფარი, ჩაის ტილო და სხვ. და სხვ. სიამოვნებით დასცქერით, სინჯავთ, ათვალიერებთ და... სიამოვნება იგი გიორკეცდებათ, როდესაც გაიგებთ, რომ ეს მხოლოდ პირველი განყოფილების მოწაფეთა ნაშრომია. გადადიხართ მეორე, მესამე და სხვ. განყოფილების მოწაფეთა ნამუშევარზე... აქაც ბლომადაა დამზადებული სუფრის თეთრეულობა, პატარა ბალიშები, ჩანთები, სავარძლის საფარებელი, ქუდები, პალტოები, ქალის „ფიგარო“, ზედატანი, ქილობი, მაგიდის მოსართავი, წერილების, გაზეთების ჩასაწყობი და მრავ. სხვ. აქ უფრო მეტი დაკვირვება, მეტი ხელოვნება მეტი სილამაზე!..

ზოგი ნაქერი ისეთი ხელოვნებით არის ასრულებული, ისეთი მუყაითობა და საქმის სიყვარულია შიგ ჩაქსოვილ-ჩაქარგული, რომ ვეღარ შორდებით, ვეღარ აცილებთ თვალს... აი მაგალ. ეს კათალიკოზა (незабудка), ქალის ზედატანზე (რუბაშკაზე) ამოქარგული... თქვენ ჰხედავთ თქვენს წინ არა მკვდარს ყვავილს, ცისფერ მარმაშზე მოხაზულს, არამედ სიცოცხლით სავსე, მოღიმარე, ნაზ კათალიკოზას და სტკბებით მისი სილამაზით.

ან და ეს ყვავილები... ნაზად, სიცოცხლით ამოგყურებენ ცივ ტილოდან, გიტკბობენ თვალს და გეალერსებიან.

ძალაუნებურად უნდა შეჩერდეთ ქართულ შნოზე შეკერილ მოზრდილ სუფრის წინ... ეს სუფრა ოთხ მოწაფეს შეუკერავს (ბ. შოთნიაშვილისა, ნ. გაგნიძისა, ე. ცერცვაძისა და თ. მეფურნიშვილის ასულთ) და ნამუშევარიც ცოცხალი გამოსვლიათ...

უნდა შეჩერდეთ ერთი პატარა ბალიშის წინაც... იგი ეკუთვნის მესამე განყოფ. მოწაფეს ცხვედაძის ასულს... თავის პაწია, მადლიანი ხელით მარჯვედ მოუქარგავს იგი ბუზმენტ-აბრეშუმით სპარსულ გემოვნებაზე...

დიდ ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ოქრომკედით და მძივით ნაქარგიც.

მაგრამ რომელი ერთი ჩამოვთვალო, რომელ ერთს მივაპყრო ყურადღება, რომელ ერთს მივაკუთვნო პირველობა...

აქვე, მარცხნით ჩასხდომია სამუშაოს რამდენიმე პატარა ქალი და ერთგულად, დინჯად, დაკვირვებით ასრულებენ ხელსაქმეს..

კედლებზე ბლომადაა გამოკიდებული მოწაფეთა ნახატები, მოდელები... აქვეა რამდენიმე სურათი, ფერადი საღებავით შესრულებული..

დარბაზის მეორე ნაწილი დათმობილი აქვს ქალის ტანისამოსს, თეთრეულობას, ქალისა და კაცის საცვალს... არის ატლასის, აბრეშუმის, ტილოს რამდენიმე კაბა „საბალო“, სასეირნო, საშინაო, მეტად ლაზათიანად, სუფთად, გემოვნებით შეკერილი უკანასკნელ განყოფილების მოწაფეთა მიერ. ეს კაბები გამოცდისათვის შეუკერიათ და ექსპერტებს მოუწონებიათ კიდეც.

მოწ. ნ. ნონიკაშვილის ასულის **ნარდვევით ნაკერ** კაბის წინ შევჩერდი... რამდენი მოთმინება, რამდენი ენერგია, რამდენი დრო იყო საჭირო, რომ მის შემკერს ეს თეთრი, სადა ტილო-გამოუშლია, გამოერღვია ამოდენა კაბაზე და მერე ლამაზად ამოეხვია, გამოეყვანა სახე.

**სანგანაძე.**

(დასასრული იქნება)

## მუშათა ცხოვრება

✦ პოლიტიკური გაფიცვა, რომელიც პეტერბურგში 17 ივნისს დაიწყო, გაგრძელდა 18-საც. დილიდანვე გაიფიცა მთელი რიგი დიდი ქარხნებისა, მათ შორის „აივაზ“-იც ათას ორასი კაცით, ტელეფონის ქარხანა ერიკსონისა ათასზე მეტი კაცით.

გაფიცვა ქარხნებში მიტინგების მოწყობით ხდებოდა, რომელზედაც რეზოლიუციები გამოჰქონდათ. მუშები შეეცადნენ სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ დემონსტრაცია მოეხდინათ, მაგრამ პოლიციამ გაჰფანტა იგინი.

ნასადილევს გაიფიცნენ წვრილი სახელოსნოები, აგრეთვე ზოგიერთი სტამბები, რის გამოც 13 ივნისს არ გამოვიდნენ: „დენ“-ი, „ლუჩ“-ი და „პრავდა“.

✦ გაფიცვა ზინგერის ქარხანაში ისევ გრძელდება. 13 ივნისს მუშები და ოსტატები შეიკრიბნენ ქარხნის ეზოში. ქარხანა ღია იყო, მაგრამ მუშაობა არავის დაუწყია. ბაასის შემდეგ მუშები დაიშალნენ, ქარხნის გამგეობა ჯერ არას უთმობს. მოსკოვის რამდენიმე ქარხანაში, პეტერბურგის მიხედვით, ერთი დღით გაიფიცნენ.

✦ 19 ივნისს შესდგა კრება მოსკოვის ქალაქის საკრებულოსი მუშათა დაზღვევის შესახებ. ირჩეოდა საკითხები, რომლებიც გაარკვია საგუბერნიო საკრებულომ ამ დღეებში.

საკრებულომ დაადგინა: იმ მუშებზე, რომლებიც მოსკოვის ქარხნებში მუშაობენ აგრეთვე იმათ, ვინც დაქირავებულნი არიან მოსკოვის ფარგლის გარეშე, მაგრამ ცხოვრობენ მოსკოვში, სამკურნალო და საკვებ ფასად ქალაქის საავადმყოფოში დაწესდეს სულზე 2 მანეთამდე დღეღამის განმავლობაში.

საკრებულომ ღირსად იცნო ორი შუამდგომლობა ცალკე საავადმყოფო კასის დაარსების შესახებ.

✦ ქიათურაში სამი დღის მოლაპარაკებამ მუშებსა და მეწარმეებს შორის უნაყოფოდ ჩაიარა. მათს მოთხოვნილებას სრული უარით უპასუხეს, რის გამოც ყველა ფირმის მუშებმა გადასწყვიტეს: განაგრძონ გაფიცვა, სანამ მათს მოთხოვნილებას არ დააკმაყოფილებენ.

✦ პეტერბურგში 19 ივნისს გაიფიცა „დე-გურმე“-ს საკანდიტეროში მოსამსახურე 40 ქალი. გაფიცვა ეკონომიური ხასიათისაა.

✦ 19 ივნის პეტერბურგს მოსკოვიდან ჩავიდა 22 ლიტოგრაფი და გაფიცულთა მაგიერ დაიწყო მუშაობა. ჩასულებმა მიიღეს ერთდროულად თუთხმეტი მან. გარდა გზის ფულისა, რომელიც მესტამბეებმა იკისრეს. გაფიცულებთან მოლაპარაკებაზე უარი სთქვეს ჩამოსულებმა და განაცხადეს, რომ ჩვენ მოსკოვშივე ვიცოდით, რომ აქ გაფიცულთა მაგიერ სამუშაოდ მოვდიოდით.

✦ 18 ივნისს „სამხატვრო ბეჭვდის ამხანაგობის“ სტამბამ დაითხოვა გაზეთ „ლუჩის“ ასოთამწყობნი. დათხოვნის მიზეზი მუშებმა ვერ გაიგეს და ამიტომ უარი სთქვეს ანგარიშის გასწორებისა.

✦ პეტერბურგის ქალაქის უფროსის თანამდებობის აღმსრულებელმა გენ.-ლეიტ. ვენდორფმა დააჯარიმა მუშები ი. მაროზოვი და პ. შმანოვი ას-ასი მანეთით თითო, თუ ჯარიმა არ გადაიხადეს ერთის თვით ციხეში ჩასვამენ. დაჯარიმების მიზეზი მუშების გასაფიცველად მომზადება და ძალდატანებაა.

✦ 19 ივნისს პეტერბურგში გაიფიცნენ „1886 წლის საელექტრონო განათების საზოგადოების“ სადგურის ტრანსფორმატორები და ლურსმნის ქარხნის მუშები გაფიცვა ეკონომიური ხასიათისაა.

✦ მოსკოვში გაიფიცნენ ... ნის და ვორტცის აბრეშუმის ქარხნისა და ვოფსის საქსოვი ქარხნის მუშები. ხასიათი გაფიცვისა ეკონომიურია. უკანასკნელი ქარხნის მუშები, სხვათა შორის, მოითხოვენ ერთი მუშის დათხოვნას და მოითხოვენ აგრეთვე, რომ პოლონელებსა და სხვა მუშებს ჯამაგირი თანაბარი ეძლეოდეს. საქმე ის ყოფილა, რომ პოლონელებს უფრო მეტი ჯამაგირი ეძლევათ, ვიდრე სხვებს. პოლონელები გაფიცვაში მონაწილეობას არ იღებენ.

✦ ლოძში გეინცელის სამანუფაქტურო ქარხნის მუშები გაიფიცნენ. გაფიცულთა რიცხვი 540 კაცია. გაფიცვა ეკონომიური ხასიათისაა. ადმინისტრაციამ გააფრთხილა მუშები, რომ ქარხანა ორი კვირით დაკეტილიაო.

✦ მოსკოვში გაიფიცნენ 3.685 მუშა ლინინის სხვა და სხვა ქარხნებისა. კოლომნის ქარხანა ანგარიშს უსწორებს გაფიცულს მუშებს.

## მოწერილი ამბები

**დ. ჭიათურა.** თანახმად ჭიათურის მრეწველთა საბჭოს თხოვნის, 19 ივნისს ტეხნიკურ განყოფილების შენობაში მოხდა ექიმთა, ინჟენერთა და სხვა დარგის მოსამსახურეთა კრება. კრების მიზანი იყო, შეედგინა მომწესრიგებელი ბიურო და შეემუშავებინა მოქმედების გეგმა დ. ჭიათურის და მის მიდამოების დასათვალიერებლად მოსულ ბუნების მეტყველთა და ექიმთა შესაფერ პატივსაცემლად. კრებას თავმჯდომარეობდა ექიმი ბ-ნი ს. ჯაფარიძე. მომწესრიგებელ ბიუროს წევრებად ამოირჩიეს თხუთმეტამდე კაცი და ქალი. კრებას მოხსენდა საბჭოს სურვილი დასახელებულ მიზნისათვის ხუთას მანეთამდე გადადებისა.

კრებამ შეიმუშავა შემდეგი წესრიგი ხსენებულ ექსკურსანტების პატივსაცემლად:

ა) დასახელებულ დროს ბიუროს წევრები მიეგებებიან სტუმრებს სადგურზე.

ბ) მიიპატიჟებენ ტეხნიკური სასწავლებლის შენობაში, სადაც ჩაით და ტკბილეულობით გაუმასპინძლდებიან.

გ) შემდეგ ექსკურსანტები დაათვალიერებენ დ. ჭიათურაში საბჭოს დაწესებულებათ.

დ) შემდეგ დაიყოფებიან ჯგუფებად ვის სადაც ესურვება—ზოგი მაღაროების, ზოგიც ფაბრიკების და ჭიათურის მიდამოების საისტორიო ადგილების დასათვალიერებლად. ხსენებულ ადგილების ახსნა-განმარტებას მიიღებენ ადგილობრივ ინტელიგენციისა და ბიუროს წევრებისაგან.

ე) სადილი დანიშნული იქნება ტეხნიკურ სასწავლებელში ნაშუადღევის $4^1/_2$ საათზე.

ვ) ღამით მოსასვენებელი ბინა 60 კაცისათვის მომზადებული იქნება საბჭოს შენობაში და ტეხნიკურ სკოლაში.

ზ) დასასრულ კრებამ სთხოვა ბიუროს თავმჯდომარეს ექიმ ს. ჯაფარიძეს და ინჟენერ ა. ა. კობახიძეს

---

ების ყურადღება სკოლაში აზნეულია, თუ მათში არ არის განვითარებული აქტიური ყურადღების ძალა, მაშინ რაც უნდა იშრომოს მასწავლებელმა, სულერთია, ის თავის მიზანს ვერაოდეს მიაღწევს და ბავშები ნამდვილ ცოდნას მუდამ მოკლებულნი იქნებიან, ის შთაბეჭდილებანი, რომლებსაც მოსწავლეები გაკვეთილზე თუ სხვა დროს მიიღებენ, აქტიური ყურადღების უქონლობის გამო ვერ მივა მათ გონებამდე, ვერ იქცევა გარკვეულ წარმოდგენად და ცნებად, რომელიც შეადგენს ყოველივე ცოდნის პირველ საფეხურს.

ასეთი მნიშვნელობა ყურადღებისა კარგი ხანია შეგნებული აქვთ არა თუ პედაგოგებს, არამედ პირუტყვების გამწვრთნელებსაც. აი რას მოგვითხრობს გამოჩენილი ბუნებისმეტყველი დარვინი თავის წიგნში „ჯიშთა წარმოშობა“: მაიმუნების გამწვრთნელი ორჯერ მეტ ფასს აძლევდა მაიმუნებში იმ შემთხვევაში, თუ კი გამყიდველი მისვლამდე მას ნებას მისცემდა გაეჩერებინა სასყიდელი მაიმუნები თავის სახლში რამოდენიმე დღეს.

როცა ჰკითხეს, როგორ შეუძლია მას გაიგოს თუ რომელი მაიმუნი ივარგებს მსახიობთაო, მან უპასუხა, რომ ყოველიფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი მათგანი რანაირი ყურადღების პატრონიაო. თუ იმ დროს, როცა ესაუბრებიან მაიმუნს, მისი ყურადღება ადვილად იფანტება ახლო დამჯდარი ბუისა ან სხვა რამე უბრალო ცვლილებისა გამო, მაშინ ასეთი მაიმუნი ყოვლად უიმედოა ვარჯიშობის მხრივო“.

ასეთია აქტიური ყურადღების მნიშვნელობა არათუ ადამიანის გონებრივ, არამედ პირუტყვების ცხოვრებაშიაც. მაგრამ არა ნაკლები ღვაწლი მიუძღვის აქტიურ ყურადღებას ჩვენის ზნეობრივი თვისებების განვითარებასა და განმტკიცებაში. უმთავრესი გამომხატველი ჩვენი ძირითადი ზნეობრივი პრინციპისა არის იესო ქრისტეს სიტყვები: „გიყვარდეს მოძმე შენი, როგორც თავი შენიო“. ამ პრინციპის სრული განხორციელება, ზნეობრივი გასპეტაკება და განმტკიცება ადამიანისა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც მასში ყურადღება და დაკვირვება არის განვითარებული. რამდენი მაგალითია ცხოვრებაში, რომ ადამიანი მხოლოდ მოქმედების შემდეგ, როცა თავის მოქმედების ნაყოფს ნათლად ხედავს, უკვირდება იმას თუ როგორ მოიქმედა. სინანული მხოლოდ გამომხატველია ამ ფსიხოლოგიური ჭეშმარიტებისა და შედეგია ასეთი ბოროტ-მოქმედების, რომელიც დაუკვირვებლობის გამო ხდება ადამიანის ცხოვრებაში. ადამიანი ბუნებით კეთილია, მაგრამ ეს თვისება იმდენად დავარდნილია მასში, რამდენადაც ნაკლებია ყურადღებისა და დაკვირვების უნარი. ამიტომ არის სწორედ, რომ ის ადამიანი, რომელიც ხშირად უკვირდება თავის სულიერ ცხოვრებას და მოქმედებას, ზნეობრივად უფრო მაღლა სდგას, ვიდრე ის, რომელიც არასოდეს არ აქცევს ყურადღებას თავის სუბიექტურ ქვეყანას, თავისი გრძნობების მოძრაობის და რომელიც მუდამ გატაცებულია გარეგანი მოვლენებით. ერთ ყმაწვილს სურდა თავისი ურიგო ხასიათი გაესწორებია და ამისათვის ძახ საწოლზე თავის პირდაპირ ჩამოჰკიდა დაფა რომელზედაც ეწერა: „იყავ კეთილი“. დაფამ, რომელზედაც ის მუდმივ ასეთ წარწერას კითხულობდა, აიძულა დაკვირვებოდა თავის მოქმედებას და არ დავიწყებოდა კეთილის პრინციპები. ასეთმა ზომამ თავისი გავლენა იქონია და ყმაწვილმა იწყო გამოსწორება, მისი ხასიათი ცვლილების გზას დაადგა.

თუ ჩვენ ახლა კერძოდ სხვა და სხვა გრძნობას შევეხებით, როგორიც არის მაგალითად, მეგობრობა ან სიყვარული, ადვილად მიხვდებით, რომ ეს გრძნობებიც ყურადღებისაგან არის დამოკიდებული. განა შეიძლებოდა მტკიცე მეგობრობა იქ, თუ ადამიანი უპირველესად ყოვლისა არ უკვირდებოდეს თავის სიყვარულისა ან მეგობრობის ობიექტს?

ადამიანი სანამ დაუმეგობრდებოდეს ან შეიყვარებდეს მეორეს, უკვირდება, აფასებს მას, რის შემდეგაც ის გრძნობს ან სიმპატიას, ან ანტიპატიას. პეტრონიმ ევნიკა მხოლოდ მაშინ შეიყვარა, როდესაც მის სილამაზეს და სულის სიმშვენიერეს მიაქცია ყურადღება.

საუბედუროდ აქტიური ყურადღება არ არის ადამიანის ბუნებრივი თვისება, ის არის მხოლოდ ცხოვრებაში შეძენილი. მიეცით პატარა ბავშვს რომელიმე სათამაშო ნივთი, იგი დიდის აღტაცებით დაუწყებს მას თვალიერებას, მაგრამ იმავე დროს შეაძლიეთ მას მეორეც და თქვენ დაინახავთ, რომ ბავში პირველს მიატოვებს და ამ მეორე საგანზე გადაიტანს ყურადღებას. მას არ შეუძლია ერთ რომელიმე საგანს დაკვირვებით მოექცეს და ყურადღებით დაათვალიეროს.

ველურების სიზარმაცე ყველასათვის ცხადია. შრომას, რომელიც მუდმივ აქტიურ ყურადღებას თხოულობს, ისინი აძაგებენ. დარვინმა ჰკითხა გაუჩებს, რომლებიც გატაცებულნი იყვნენ ლოთობით, რისთვის არ მუშაობთო. მას უპასუხეს, რომ „დღე მაშინ ნამეტნავად გრძელიაო“. ველურები არაოდეს არა ჰფიქრობენ ისეთ კითხვებზე, რომელიც არ შეეხება მათ სხეულს, მუცელს შინაურულ მოწყობილებას. მოგზაურები ხშირად მოგვითხრობენ, რომ როდესაც ესაუბრებით ველურებს ისეთ კითხვებზე, რომლებიც გამოდის მათი ვიწრო ინტერესების ფარგლიდან, ისინი ვერ იძლევიან პასუხს, ეტყობათ, რომ ასეთ კითხვებით ისინი იღლებიან; ხშირად ამ კითხვებს გამოჰყავთ იგი გრძნობიდან, მისდის გული ან განიცდის თავის საშინელ ტკივილს, რაც მაჩვენებელია იმისა, რომ აქტიური ყურადღების ამოძრავება მას არ ძალუძს. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ შრომა პირველ ყოფილ ადამიანს სძულს, რადგანაც ყოველი შრომა, რაც უნდა უბრალო იყოს იგი, თხოულობს ცოტათი მაინც დაკვირვებას, აქტიურ ყურადღებას. ამიტომ შრომა მათ ცხოვრებაში ითვლებოდა და ითვლება სამარცხვინო ვალდებულებად, რასაც ყოველთვის ავალებდნენ მონას, ან ქალს.

მაგრამ ცხოვრების გართულიანებულმა პირობებმა და გამწვავებულმა ბრძოლამ არსებობისათვის პირველყოფილი ადამიანის უზრუნველი ცხოვრება მოსპო. ხალხი გამრავლდა, ჰაერი გამოიცვალა, ცხოვრებისათვის ბრძოლა გაძნელდა და ადამიანი იძულებული იყო საშვალება გამოეგონებია, გაეუმჯობესებია ცხოვრება, რისთვისაც მას უსათუოდ სჭირდებოდა აქტიური ყურადღება. ამასთან რაც მეტი იყო გასაჭირი, მით მეტი სჭირდებოდა მას დაკვირვება. ამ მხრით თუ შევხედავთ აქტიურ ყურადღებას, უსათუოდ იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ის შედეგია გართულებული და გამწვავებული ცხოვრების პირობებისა, რომ ის წმინდად სოციოლოგიური მოვლენაა. ამ ჭეშმარიტებას გამოთქვამს საფრანგეთის გამოჩენილი ფსიხოლოგი რიბოც, რომელიც თავის წიგნში „ფსიხოლოგია ყურადღებისა“ შემდეგს ამბობს: „აქტიური ყურადღება აღმოცენდა აუცილებლობის, საჭიროების ზედ-გავლენით, ეს არის შედეგი, ნაყოფი ცივილიზაციისა. იმავე პროგრესმა, რომელმაც აიძულა ადამიანი ზნეობრივ ცხოვრებაში ინსტიკტების ბატონობა შეეცვალა ვალდებულების ბატონობად, სოციალურ წეს-წყობილებაში კი გადასულიყო პირველ ყოფილი ველურობიდან ორგანიულ საზოგადოებრივ ყოფნაში, პოლიტიკურ ცხოვრებაში აბსოლუტურ ინდივიდუალიზმიდან სახელმწიფოების შექმნაში, იმავე პროგრესმა ჰკუის განვითარების სფეროში აიძულა ადამიანი გადასულიყო პასიური ყურადღების ბატონობიდან აქტიური ყურადღების ბატონობაზე. უკანასკნელი არის, ერთსადა იმავე დროს, როგორც მიზეზი, ისე შედეგი ცივილიზაციისა“.

ადამიანი იძულებული იყო დაეხარჯა თავისი სულიერი ენერგია, მიეღო უსიამოვნო განცდა, რომ ხანგრძლივად ეყო თავის სიცოცხლე და შეექმნა ცხოვრების ისეთი პირობები, რომელიც მისცემდა მას მეტ სიხარულს, მეტ სიამოვნებას.

ამოძრავებული ადამიანის ცხოვრებაში ასეთი საჭიროების და მიზნების გავლენით, აქტიური ყურადღება მუდმივი ვარჯიშობის გამო იქცა ჩვეულებად, მეორე ბუნებად, რომელიც დღეს შეადგენს კულტურული არსების აუცილებელ თვისებას. რომ აქტიური ყურადღება არის ვარჯიშობის, აღზრდის შედეგი, ამას გვეუბნება გამოჩენილი ჰერბერტ სპენსერიც შემდეგ საგულისხმო სიტყვებში: „თითქმის მთელი ცხოვრება პირველყოფილი ადამიანისა გადის ნადირობაში, რომელიც იწვევს მასში სასიამოვნო განცდას; იმ ადამიანისთვის, რომელიც სუნთქავს თანამედროვე კულტურით, ნადირობა თუმცა სასიამოვნო დროს გატარებას შეადგენს, მაგრამ ეს სიამოვნება არ არის იმდენზე გავრცელებული და მუდმივი, როგორც წინად იყო. პირიქით ძლიერ ნაკლებათ განვითარებული პირველყოფილ ადამიანში, ნიჭი ხანგრძლივ შეუწყვეტელი ყურადღებისა, ჩვენთვის ყოველდღიურ მოვლენად შეიქნა. მართალია, მომეტებული ნაწილი საზოგადოებისა შრომობს ძალა-უნებურად, მაგრამ იმავე საზოგადოებაში მოიპოვებიან ისეთი პირებიც, რომლებისთვისაც აქტიური შრომა შეადგენს ისეთ ძლიერ მოთხოვნილებას, რომ ისინი იტანჯებიან, ვერ მოუსვენიათ, როდესაც მათ საქმე არ აქვთ. ადვილად შეხვდებით ისეთ ადამიანებსაც, რომლებისთვის საგანი მათი გამოკვლევისა იმდენად მიმზიდველია, რომ იგინი ეწაფებიან მას განუწყვეტლივ რამოდენიმე წლის განმავლობაში“.

**ი. ლიბერიელი.**

(შემდეგი იქნება)

ტფილისში ბუნებისმეტყველთა და ექიმთა კრებებზე დაესწრონ, ქიათურის დათვალიერების მსურველთა დაახლოვებითი რაოდენობა გამოარკვიონ და მომწესრიგებელ ბიუროს წინდაწინვე შეატყობინონ.

ბ.

# რუსეთი

**სტუდ. კამენევის მოკვლის საქმე.**

როგორც სატახტო გაზეთები იტყობინებიან, „აკადემისტ" სტუდენტ კისელოვიჩს მოკლული სტუდენტის კამენევის და უჩივის სამოქალაქო წესით ზარალს. კამენევას ინტერესების დამცველად გამოდის სახელ. სათათბ. წევრი. ა. თ. კერენსკი და ნაფ. ვექ. ზარუდნი და სოკოლოვი.

**კიდევ ბუტირის საპყრობილე.**

სათათბიროს ს.-დ. ფრაქციამ მიიღო ბუტირის საპყრობილიდან ცნობა, რომ ამ საპყრობილეში ტუსაღებს სამარხო საჭმელებით კვება დაუწყეს. სამარხვო საჭმელები 2 წელიწადია მოსპობილი ყოფილა სატუსაღოში. ამის გამო 800 ტუსაღმა „შიმშილი" გამოაცხადა. სატუსაღოს გამგემ ობრაზცოვმა გამოუცხადა ტუსაღებს, რომ ციხის სამართველო არაფერს დაუთმობსო. ტუსაღები სთხოვენ ფრაქციას სათანადო შეკითხვით მიჰმართონ მთავრობას.

**იშვიათი შეთანხმება.**

პეტერბურგის საბოტანიკო ბაღის 200 წლის არსებობის დღესასწაული არაჩვეულებრივის მოვლენით აღინიშნა: ბაღის მთელს არსებობაში წელს პირველად აყვავდა 70 წლის წინად დარგული სიგოს ხზა. ყვავილი ქილასავით გაიკეთა ბზამ. ყვავილის სიგრძე ერთი არშინი ყოფილა.

**ვარშავის გენ.-გუბერ. სკალონის მოხსენება.**

ამ რამდენიმე ხნის წინად ვარშავის გენ.-გუბ. სკალონმა წარადგინა უმაღლეს სფერებში მოხსენება, რომელმაც გადამწყვეტი გავლენა იქონია პოლონეთის თვითმართველობის კანონ-პროექტის ბედზე.

გენ. სკალონი ამტკიცებდა, რომ პოლონეთის თვითმართველობაში უნდა სჭარბობდეს პოლონური ენა. გენ. სკალონის აზრით, მოთხოვნა იმისა, რომ პოლონეთის თვითმმართველობაში სავალდებულო იქნეს რუსული ენა, ძალიან ცუდს პოლიტიკურსა და სოციალურს შედეგს გამოიღებს.

არის ისეთი ქალაქები, სწერს გენ. სკალონი,—სადაც ცხრა მეათედი მცხოვრებთა შესდგება პოლონელებისაგან. ამას გარდა, თვითმმართველობის ურთიერთობა სამაზრო ქალაქებთან შესამჩნევად გაძნელდება თუ რომ იგი რუსულ ენაზე იწარმოებს. თავის წერილში გენ. სკალონი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ უკიდურესი ელემენტები ახალი კანონ-პროექტით თავის აგიტაციისათვის ისარგებლებენ.

გენ. სკალონის მოხსენებამ იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ სურვილი გამოითქვა კანონმა სავალდებულოდ არ სცნოს თვითმართველობაში რუსული ენის შემოღებაო. ეს ამბავი გაიგეს სახელმწ. სათათბიროს მემარჯვენე წრეებმა, რომლებმაც ამიტომ უკანასკნელ წუთს შეიცვალეს თავისი შეხედულება და ხმა მისცეს კანონ-პროექტს, აგრეთვე გამოაშკარავდა, რომ სფერებში სურდათ ამ დებულების დაცვა შინაგან საქ. მინისტრისთვის მიენდოთ სახელმწ. საბჭოში გარჩევის დროს. მაგრამ, რადგან მაკლაკოვი არ იზიარებს ვარშ. გენ.-გუბერნატორის აზრს, ამიტომ მის დაცვას თავს იდებს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კოკოვცევი.

# ბალკანეთის მოკავშირეთა შეტაკება

(დეპ. პეტ. სააგენტო).

**24 ივნისი.**

**სალონიკი.** მოიყვანეს 200 დაჭრილი. საავადმყოფოები და სკოლები სულ გავსებულია დაჭრილებით.

**ათინა.** სამხედრო სამინისტრო იუწყება, რომ სარიგოლასთან ბრძოლის დროს ბერძენ ა რაზმმა ხიშტებით იერიში მიიტანა მტერზე და უნდა სიმაგრეებიდან დაიძრა. პირველმა იერიშმა მიზანს ვერ მიაღწია, რაზმი უკან დაბრუნდა. ერთი მხედარი და რამდენიმე ჯარის კაცი ბრძოლის ველზე დარჩა. მეორე იერიშით ბერძნებმა გაიმარჯვეს და ბრძოლის ველზე დატოვებული თანამემამულენი საშინლად განზრახ დასახიჩრებული იპოვეს.

მეფის ბრძანებით მოწვეულია 3 ხარისხ-ს გვარდია. ოფიციალური ცნობაა ენოსის ნაპირების და მდინარე სტრუმის შესართავის ბლოკადის შეს ხებ. 5 მილის მანძილზე ყველა გემები, რომელნიც ბულგარეთის წყლებისაკენ მიდიან მთავრობისაგან დათვალიერებული იქნება.

**ათინა.** დოირანთან ბრძოლის შემდეგ ბულგარელები გაიქცნენ სტრუმიცისაკენ. ბერძნებს დარჩათ ბევრი სურსათი და 12 სასროლი იარაღი. მტერს ბევრი ჯარის კაცი დაეხოცა. ბრძოლის დაწყების შემდეგ ბერძნებმა 10,000 კაცი დაჰკარგეს.

**ბელგრადი.** სერბიელებმა უკუაქციეს ბულგარელები და წაართვეს კრივოლაკი. ამ მოკლე ხანში მომხდარი შეტაკებანი უფრო სასტიკია, ვიდრე ბალკანეთის ომი. სერბიელებმა დაჰკარგეს 15,000 კაცი, ბულგარელებმა 20—25 ათასი.

**სოფია.** იმ ბულგარელთა ინტერესები, რომელნიც სერბიასა და ჩერნოგორიაში სცხოვრობენ, რუსეთს მიჰბარდა.

**ბელგრადი.** ბულგარელების ცნობა ვითომც ჩვენ ორჯერ გადავედით ბულგარეთის საზღვარზე — შეთხზულია. ბულგარელები თითონ გადავიდნენ სერბიის საზღვარს იქით ორჯერ. ორივეჯერ ბულგარელები დააბრუნეს სერბიელებმა ძალით უკან.

**სალონიკი.** დოირანის ბრძოლის დანამდვილებითი აღწერა არ მოსულა. მიუხედავად ტროპიული სიცხისა ბერძნები წინ მიდიან მაინც და მედგრად ებრძვიან მტერს. 4,000 კაცი გამოიქცა იმ ადგილიდან სადაც ბულგარელებმა გაიარეს და სერბიელები ჰკვებავენ მათ. მეზღვაურები, რომელნიც სალონიკს უყარაულებდნენ ებრძანათ წავიდნენ გიუმეჯესაკენ.

**ბელგრადი.** მესამე ჯარში სიწყნარე ყო გუშინ მთელი დღე. მე-6 დღეს სცადეს ბულგარელები შესეოდნენ სერბიელებს, მაგრამ ამაოდ. ბულგარელებმა უკან დაიხიეს. ბულგარელთა დანაკლისი დიდია. ჯიშთიბში ხოლერა გაჩნდა.

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

**24 ივნისი**

**უცხოეთი**

**ალექსანდრია.** სომხებმა გამართეს მიტინგი, რომელსაც რამდენიმე ათასი დაესწრო. მიტინგმა დაადგინა დაუყონებლივ მიჰმართონ ყველა სახელმწიფოთ, რომელთაც ბერლინის ტრაქტატზე აქვთ ხელი მოწერილი და ამითი აიძულონ ოსმალეთი სომხეთში რეფორმების შემოსაღებად და მიტინგის დადგენილება აცნობონ ლონდონის კონგრესს და სეფინანსო კომისიას პარიზში და სომეხთ მოყვარულ კომიტეტს პეტერბურგში.

**პარიზი.** 339 ხმის უმეტესობით 223 წინააღმდეგ დეპუტატთა პალატამ მიიღო კანონ-პროექტი სამხედრო ბეგრის მოხდის 3 წლის ვადის შესახებ.

**იოჰანესბურგი.** ყველა სამთო საწარმოს მრეწველო ქარხნების მუშებმა დაიწყეს მუშაობა.

**რუსეთი.**

**არხანგელსკი.** სავინის გემი „სამშობლო" კერეტის მახლობლად თეთრ ზღვაზე დაეჯახა წყალში დამალულ ქვას და დაიღუპა. მეზღვაურნი გადაარჩნენ.

**რიაზანი.** გაიხსნა რომანოვთა გვარეულობის 300 წლის იუბილეს სახელობის გამოფენა.

**პეტერბურგი.** სამსახურიდან დაითხოვეს ოლონეცკის გუბერნატორი შიდლოვსკი.

**სარატოვი.** მოვიდა პროფესორი ზაბოლოტნი და მიიღო მონაწილეობა ექიმთა თათბირში, რომელმაც გადასწყვიტა გააძლიეროს სასანიტარო ზედამხედველობა პესჩანკაში, რომლის მახლობლად აღმოჩნდნენ ჭირიანი მღრღნელები.

# წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო! „კლდის" მე-26 ნომერში დაბეჭდილია წერილი სათაურით: „ღირსეულ ადამიანთა ხსოვნა", რომელიც სამწუხაროდ მხოლოდ დღეს წავიკითხე. წერილის ავტორი ამბობს-რა იმ პირობებზე, რომლებიც შეეხებიან დ. ყიფიანის სახლ-კარის გამოსყიდვას, დასძენს, რომ ასეთი პირობები, როგორიც მისმა რძალმა დაუყენა თავად-აზნაურებს, არამც თუ არას გამკეთებენ დ. ყიფიანის სახელისათვის, პირიქით მას შეალახვენო.

ნება მიბოძეთ ამის შესახებ პასუხი გავცე წერილის ავტორს. მართალია, დიმიტრი ყიფიანის სახელის დაცვა ყოველ ქართველს ჰმართებს და მით უმეტეს, თვით მისი შვილი და რძლისაგანაც კი, მაგრამ უმართებულო არც ის იქნებოდა, რომ არც ჩვენისთანა პატარა ადამიანების სახელი იყოს უსამართლოდ აგდებული. ამ მხრივ კი ავტორი ძალიან სცოდავს ჩემს წინაშე, ვითომ ჩემი პირობებით დ. ყიფიანის სახელი შემლახოს. ვეცდებით მოგახსენებთ:

ჯერ ერთი, რომ მე არავითარი თხოვნა არ შემიტანია იმის შესახებ, რომ დ. ყიფიანის სახლ-კარი თავად-აზნაურებს შეეძინა. იმის სურვილი შეიტანა ცნობილ პირთა მთელმა ჯგუფმა და როდესაც სადეპუტატო საკრებულო შემოგვეკითხა, ჩვენ, ცოლ-ქმარმა სახლ-კარის გადაცემის თანხმობა გამოვაცხადეთ. მეორე: თითქმის ყოველი მუხლი სახლ-კარის შეძენის პირობებისა თვით საკრებულოსაგან არის შემოთავაზებული, ჩვენგან არის დაყენებული მხოლოდ ერთი უმთავრესი პირობა, რომ სიცოცხლეში ჩვენს ხელთ იყოს ერთი სართული სახლისა. დანარჩენი კი, მართალია რჩება ჩვენს პატრონობის ქვეშ, მაგრამ თავად-აზნაურობას კი შეუძლიან, როდოსაც დასჭირდეს—მოიხმაროს. ასეთია უმთავრესი დებულება პირობისა და ის კი არ მესმის, რა არის აქ დიმიტრი ყიფიანის სახელის შემლახველი?! შეიძლება ასეთი პირობები არ იყოს ვისთვისმე ხელსაყრელი, ნივთიერად რუსები რომ იტყვიან „не выгодное", მაგრამ თვით ავტორი ამბობს, რომ არ იცნობს უკანასკნელად შემუშავებულ პირობებს და ასეთ ბრალდებას კი გვდებს დიმიტრი ყიფიანის მახლობლებს. ამის საბუთს არც პირვანდელი პირობები აძლევენ. ავტორს ავიწყდება, ან არ იცის, რომ პირვანდელი პირობები შეეხებოდა მთელი ქვიშხეთის მამულს, და არა მარტო სახლ-კარსა და მაშასადამე პირობებიც სხვანაირი იქნებოდა, თუმცა რასაკვირველია არაფერი არც მაშინ დ. ყიფიანის სახელის შემლახველი.

შემცდარია ავტორი წერილის იმ დასკვნითაც, ვითომ თავად-აზნაურობა დიმიტრი ყიფიანის სახლ-კარის შეძენაში მისი შთამომავლობის დახმარებით ხელმძღვანელობს. ვინც საქმეს დაწვრილებით იცნობს, ის ვგონებ არას დროს არ იტყვის, რომ დიმიტრი ყიფიანის სახლ-კარის იმ პირობებით შეძენას, რომლებიც შემუშავებულია დეპუტატთა საკრებულოში—ასეთი ხასიათი ჰქონდეს.

მაგრამ ცოტა მოთმინება კიდევ—და საქმეც გამოირკვევა. მანამ კი არ შეიძლიან არ გამოვთქვა, რომ დიმიტრი ყიფიანის სახელის შელახვის დაბრალება ისეთი ახლობლებისთვის, როგორიც შვილი და რძალია, არც ისეთი ადვილი საქმეა; ამიტომ ავტორი მეტი სიფრთხილით უნდა მოჰქცეოდა ამ საქმეს და უფრო დაწვრილებით გაეცნო.

**ნინო ყიფიანისა.**

მ. ხ. ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადო სტეფანე სიმონის ძე ბ-ნ ელიაძეს, რომელმაც ჩემდამო რწმუნებულ სტეფან-წმინდის სკოლას შემოსწირა დაუვიწყარი ალექსანდრე ყაზბეგის (მოჩხუბარიძის) სასუკეთესო, ხელით ნახატი, დიდი სურათი.

სტეფანწმინდის ორკლასიანი სკოლის გამგე მღვდელი **ბართლომე ლუდუშაური.**

**რედაქტორ-გამომცემელი**
**ა ჭუმბაძე.**


# მატარებელთა მიმოსვლა
(ზაფხულობით)
18 აპრილიდან
(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ:** № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 12, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** საღ. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

**ბათომისაკენ:** № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 1 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **საჩქარო** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 1 ს. 3 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

**ბორჯომისაკენ:** № 17, **საზ.** დილ. 8 ს ... 14 ენკენისთვემდე). № 19, **სამგზ.** ... ნაშუადღ. 3 ს. ... წ.

**ალექსანდრაპოლისაკენ:** № 65, **საბარგო** დილ. 8 ს. 46 წ., № 67, **საბ.** ნაშუადღ. 2 ს. 43 წ.

ეს მატარებლები ივლიან პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე კვირა-უქმე დღეობით. მატარებელი № 67, უქმის წინა დღეებშიაც. ტფილისში უკანვე დაბრუნდებიან № 65 შუადღ. 12 ს. 5 წ. და № 67 საღ. 8 ს. 26 წ.

**ჯულფისაკენ:** **საფ.** № 4,3, შუადღ. 12 ს. 51 წ.

**ყარსისაკენ:** **საზ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

**ერევანისაკენ:** № 24,23, **საბარგ.-სამგზ.** საღ. 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

**ტფილისში მოდის:**

**ბაქოდან:** № 3, **საფ.** დილის 9 ს. 1 წ., № 11, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, საშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **საჩქარო**—პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

**ბათომიდან:** № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** საღ. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევ.** ღამ. 2 ს. 12 წ.

# სასანიტარო აქიმები

**უბნები:** 1. 2—9 მ. **ლომინაძე-ოსიროვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქვრ. ლ. ქანთარიძე** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).

5—6 **მ. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ. 645).

10, 11—12 **ბ. ა. მირაქოვი** (მიხეილის 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეამჩნევენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არდევენ, უვარგის საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან, და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის საექიმო პოლიციის კანცელარიაში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, გარეთის მოედანზე, მელაბარში ... ის ქუჩაზე, 64, ელისაბედის ქუჩა 56 და ... ლაქის მოედანზე.

# ექიმ ნავასარდიანის
## პირველი კერძო
# სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.**

**დ ი ლ ი თ:**

**„606" და „914"**

**11—12 ს. შეშხაპუნება**

**კონსულტაციურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ვად.

**ბ. გ. ალასაროვი:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. ბავშვთა, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინ განი, საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. ბავშვთა და ქალების ავადმყ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** 1004

# ვკისრულობთ:

**თარგმნას** სიტყვა-კაზმულისა და სხვა დარგის ნაწარმოებისას და აგრეთვე ყოველგვარ საბუთის ქაღალდებისას.

**კორექტურას** ქართულად გამოსაცემ წიგნებისას.

**შესწორებას** დასაბეჭდად განზრახულ ხელნაწერებისას.

**გამოცემას** წიგნებისას ავტორთა ხარჯით.

პირობებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე პირადად ამ მისამართით: **ტფილისი**, მუხრანის ქუჩა, **„შრომის"** სტამბის გვერდით, სახლი № 12. ნაშუადღევის 2 საათიდან 7 სათამდე. ხოლო დილის 9—1 სათამდე ბინაზე: ვაკე, ქართულ გიმნაზიის პირდაპირ, სახლი გაჟონიისი. ტელეფ. 9-15.

**ბაბილინა და ნ. (ნარ-კანი) კურდღელაშვილები.**

# მასწავლებელი
# ს. ა. გრიაზნოვი

ამზადებს გიმნაზიისა, კომერციულისა და სამიწისმზომელო სასწავლებლ., საოსტატო ინსტიტუტისა და აფთიაქის შეგირდად, განმეორებითი გამოცდისათვის. მსურველთ მიიღებს ... პანსიონზე.

**ვერა**, იზმაილოვის მი ახვევი, ბელინსკის ქუჩიდან სახლი 6, ბინა 8. 325

# უფასო საექიმო დახმარება
**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

უბნები

1—2 **გ. ა. გედევანიშვილი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1. ტელ. 619).

5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4. ტელეფ. 680).

6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 715).

8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).

10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

# ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.

**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.

**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

# 95 კაპეიკად



**განცვიფრებაში მოჰყავს ყველა საოჯახო სათვალთმაქცო ახალ წიგნაკს!**



ამ წიგნის საშუალებით ყველას შეუძლიან სხვისი აზრის გაგება, მიცვალებულთა აჩრდილის გამოწვევა, შეტყობა იმისა, თუ ვის ვინ უყვარს, ვის რა ჰქვიან. ჯოხს გველად აქცევს, ხოლო წყალს ღვინოდ, მოჯადოების საიდუმლო უკვე ახსნილია. ფარდა აწ უკვე აზდილია და შეგიძლიანთ პირდაპირ ხელში აიღოთ გახურებული რკინა, გაიყაროთ ტანში ლურსმანი ან დანა, აჩვენოთ მაყურებელს თავის მოჭრა და ისევ გამთელება. შეგიძლიანთ წყლისაგან ფულის გაკეთება, უეცრად ოთახის გავსება წყლით ან ნიავლით და სხ. ... ჯამბაზობის ასრულების დროს შეგიძლიანთ ყოველი სახლი ნაზრახ კოშკად აქციოთ, ფასი 95 კაპ. ეგზავნება ფასდადებით, გასაგზავნისათვის ემატება 25 კ. უფრთხილდით სიყალბეს! ახალი გამოცემაა, მრავალი (272 გვ.), დამატ. და სურათით.

**ადრესი:** Т—во „Заря", Варшава, отд. 95.

M. 32332. 1227

# ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდალური კანტორა

ამით აცხადებს, **რომ თანხმად უწმიდესი და უმართებულესი სინოდის** ბრძანებისა, რომელიც 8 მაისს 1913 წელს № 7283 გამოსცა, **ტფილისის მართლმადიდებლთა სასულიერო სემინარიის ძველი შენობა ეზოთი,** რომელიც მდებარეობს ქალ. ტფილისში, ლორის-მელიქოვისა და პუშკინის ქუჩების კუთხეში, **ქირავდება,** როგორც მთლად, ისე ნაწილ-ნაწილადაც. დაქირავება შეიძლება საცხოვრებლად, მაღაზიებისა, საწყობებისა, სარდაფებისა და სხვ. საქიროებისათვის. ვისაც შენობის ნაწილის ან მთლად დაქირავება უნდა, მან ყოველივე ცნობისათვის უნდა მიმართოს ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდალურ კანტორას დილის 11 საათიდან 1 საათამდე (ექზარხოსის მოედანი, № 2). 1368

**გამართულია ხელის მოწერა 1913 წლის**
# „ხ მ ა კ ა ხ ე თ ი ს ა"-ზე

**გაზეთის ფასი ფოსტით გაგზავნით:** 1 ივლისიდან წლის დამლევამდე 1 მ. 80 კაპ., 1 თვით 41 კ. **სიღნაღში და სოფლებში:** 1 ივლის დან წლის დამლევამდე 1 მ. 30 კ., 1 თვით 25 კ., ცალკე ნომერი ყველგან 3 კ. **გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან. კანტორა** დროებით მოთავსებულია ქ. შ. წ.-კ. გამ. სიღნაღის გან. **წიგნის მაღაზიაში.** გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგ ადგილებში: სიღნაღში გაზ. „ხმა კახეთის" კანტორაში, სოფ. ველისციხეში ლ. ბერიაშვილის აფთიაქში თელავში—ვანო პაატაშვილთან, გურჯაანში—ექ. დ. ჯავახიშვილთან, კარდენახში—კოლა დარაშვილთან, ვაქირში მღ. ნ. ბარნაბიშვილთან, ბოდბის ხევში—დ. ჩახნაშვილთან, ქვემო-მაჩხაანში—ალექ. ს. ჯანყარაშვილთან, ბაკურციხეში—ორჯონიკიძის მაღაზიაში, საქობოში—სიკო იაშვილთან, ზაქათალაში—პლატ. ბ. ფურცელაძესთან, ჯუგაანში—მღ. ი. შანშიაშვილთან. ✦ **გაზეთის დასაკვეთი ფასი** და სხვა ნგარიშები უსათუოდ ამ მისამართით უნდა **გამოიგზავნოს** Сигнахъ К. І. Ткавздзе. 1370

# არ გაგონილა!! მხოლოდ 2 მ. 95 კ.





ვგზავნით ქვემოდ ჩამოთვლილ 14 ძვირფასს ნივთს: 1 მშვენიერ მკვიდრ ჯიბის საათს კაცთათვის—„ანკერ" (და არა ცილინდრი) ინგლისურ შავ ფოლადისას, იმართება თავის ქანქარით 36 საათში ერთხელ, ხმა წკრიალა აქვს, 15 ქვიანია. 2 ქალთათვის საუცხოვო ყელის ძეწკვს, ახალი ფასონისა 3. ბრელოკი-კინემატოგრაფი, კომპასით ან საუცხოვო სანახავობით. 4. ზამშის ბუდე საათისთვის. 5. მოხდენილი ბეჭედი ამერიკულ ოქროსი „დუბლე" პარიზული თვალით. 6. სათეატრო ბინოკლი 4 ახრომატიულ შუშით ჩვეულებრივი ზომისა, რომელიც ფრიად მოშორებულ საგნებს აახლოვებს 7) ქურდებისაგან საათის დასაცავი. 8 პარიზის პლასტოგრაფი, ზედმიწევნით მაჩვენებელია სხვა და სხვა სანახაობისა. 9. საამისო ექვსი მეტის მეტად საგულისხმო სურათი. ყველა ამის ფასი მხოლოდ 2 მ. 95 კ., ორი წყება ღირს 5 მან. 50 კაპ., 4 წყება 10 მ. 50 კ. ასეთივე საზურავიან საათით 1 მანეთით **მეტი ღირს.** ხსენებული წყება საათით და ნივთებით საუკეთესო ღირსებისა და საუკეთესო თვისებისა 3 მან. 95 კ., ორი წყება 7 მ. და 40 კ., ეხევე წყება ქალის საათით 3 მ. 70 კ გასაგზავნი ორწყებამდე—40 კ., ციმბირში გასაგზავნი 75 კ. საათსა ვგზავნით შემოწმებულ-შესწორებულს წუთი-წუთზე 8 წლის თავდებობით, ფასდადებით და უბეოდ.

მისამართი: И. Штрумфельдъ, Варшава, Электоральная 11. Отд. 16.

ეს მისამართი ამოჰჭერით და კონვერტს ან ღია წერილს დააკარით.

Метцль. 36443. 1337

# მუდამ ღლე მოგვდის
## თევზის მრეწველნი
# მმ.
# ძმეველოვები.

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.

**ტელეფონი № 712.**

**ახალ-ახალი**

**მტკვრისა თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი.**

**ახალი მსხვილ-მარცვლოვანი ხიზილალა (ქვიშკა).**

აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მარტის ლოში, იანი, ჭიპა, ზურგიელები,** სხვა ყოველ-ნაირი **თ ე ვ ზ ე უ ლ ო ბ ა** და **კონსერვები.**

**გამოსულია და იყიდება**
# ი. გედევანიშვილის პიესა
# „გ ა მ ც ე მ ი"
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.


ტფილისი მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა".